

ელვარე და ლომფერი დადგა 9 ოქტომბერი!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭიერებით ბუტთის გაფანა ყვეფა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 11 ოქტომბერი. 2016 წ. №189 (8081), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ეს ყველა ქართველის გამარჯვებაა! დამარცხდნენ მხოლოდ თავკერძა პოლიტიკოსები!

ვისაც საქართველო გულით უყვარს, ვინც საქართველოს ხვალინდელ კეთილდღეობაზე ფიქრობს, ვისაც თავი საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიაჩია, 8 ოქტომბერს ყველამ ერთად გაიმარჯვა!

ვინც მხოლოდ და მხოლოდ თავისი პარტიის პოლიტიკურ გამარჯვებაზე ზრუნავს, ვისაც მარტოოდენ თავისი ვიწრო პოლიტიკური ზრახვანი აბრძოლებს, თუ ჭეშმარიტი პატრიოტი და მამულიშვილია, დამარცხების მიუხედავად, ისიც გამარჯვებულია!

ჩვენ ყველანი საქართველოს შვილები ვართ! ამიტომ ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ და ვიშრომოთ საქართველოს, ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნების ასახდენად!

საქართველო ყველა ჩვენგანისგან მოითხოვს საერთო აღმშენებლობის უტყუარ სიყვარულს!

ვინც ამ სიყვარულს უღალატებს, ის არა მარტო პოლიტიკურად, არამედ სამშობლოს წმიდათაწმიდა სიყვარულში აღმოჩნდება სამარცხვინოდ დამარცხებული!

რატომ გაიმარჯვა ქართულმა „ოცნებამ?“

3

სიმართლეს ვერსად გაექცევი!

◎ მხარის პრობლემები

როცა წარსულიც და მომავალიც ერთნაირად მტკივნეულია

6

მოსაზრებები სენაკში კირქვის მოპოვებასა და ცემენტის ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით

4

ნაცების გადასწორებული სიფათები, ანუ...

მომსვლელი მოვიდა, წამსვლელი წავიდა!

ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, საკუთარი ამომრჩეველი პროვოკაციების გზით წაიყვანოს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით ნაციონალურტი მოძრაობა ცდილობს, საკუთარი ამომრჩეველი იზოლაციის, პროვოკაციების და კონფრონტაციის გზით წაიყვანოს, რასაც არაფერი აქვს საერთო საზოგადოების მოთხოვნებთან.

„საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებეული შეფასებების მიუხედავად, ნაციონალური მოძრაობა სამწუხაროდ, ცდილობს, საკუთარი ამომრჩეველი იზოლაციის, პროვოკაციების და კონფრონტაციის გზით წაიყვანოს, რაც ჩვენი შეფასებით არის წარსული და არაფერი აქვს საერთო საზოგადოების მოთხოვნებთან, ქვეყნის განვითარების ინტერესებთან“,- განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

* * *

ყველა შეფასებით, ეს იყო გამჭვირვალე და დემოკრატიული არჩევნები!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საზოგადოებას არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება მიულოცა, მისი თქმით, არჩევნები ჩატარდა თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში. ძალიან გამჭვირვალე არჩევანი შედგა.

„მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მათმა სრულმა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა არჩევნები, აღსანიშნავია ეუთოს შეფასება, სადაც ნათქვამია, რომ არჩევნებმა ჩაიარა დემოკრატიულ გარემოში,“ — განაცხადა პრემიერმა.

პრემიერმა იმ დარღვევებზეც ისაუბრა, რომელიც საარჩევნო პროცესს თან ახლდა და აღნიშნა, რომ ეს იყო მცირე ინციდენტები, რასაც გავლენა არ მოუხდენია.

„ჩვენ ჩავატარეთ თავისუფალი სამართლიანი არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ მოხდა რამდენიმე სამწუხარო ინციდენტი იმდენად მცირე იყო ეს, რომ გავლენა არ მოუხდენია არჩევნებზე და მეორე ყველა ამ ინციდენტზე ხდება რეაგიება და არიან დაკავებულებიც, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებისთვის,“ — განაცხადა პრემიერმა.

პრემიერმა მაჟორიტარულ ოლქებში მეორე ტურის დანიშვნაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამის მიზეზი ისაა, რომ ბარიერი შეგნებულად დაწიეს 50%-ზე, რათა დემოკრატიულობის ხარისხი ყოფილიყო მაღალი.

◎ ოცნების გეგმები

პარლამენტის თბილისში გადმოტანა, ქორწინების საკითხი და პრეზიდენტის არჩევითობა

„ქართული ოცნების“ წევრის ნუკრი ქანთარიას განცხადებით, თუ პარლამენტში ისინი საკონსტიტუციო უმრავლესობით შევლენ, მოხდება ყველა იმ საკითხის გადაწყვეტა, რომელიც კენჭისყრამდეა მისული. ესენია პარლამენტის თბილისში გადმოტანა, ქორწინების საკითხი და პრეზიდენტის არჩევითობა:

„რა თქმა უნდა, განხილულია, რომ კონსტიტუციურად პარლამენტის ადგილმდებარეობა შეიცვალოს და გადმოვიდეს თბილისში. ვფიქრობთ, მართლები ვიქნებით, თუ დედაქალაქს დაუბრუნდება პარლამენტი. ძალიან ბევრი დრო, ხარჯი არის ამ გზაში. ძალიან ბევრი თითქმის შეეწირა კიდეც გზას, იყო ავარიებიც და ვერ ხერხდებოდა კომუნიკაცია. ქუთაისს დიდად არაფერი მომატებია პარლამენტის იქ ყოფნით. ეს საკითხი კენჭისყრამდეა მისული წინა პარლამენტის პირობებში. თუ ჩვენ ეს გადაწყვეტილება მივიღეთ ნოემბერში, მაშინ საშემოდგომო სესიის მომდევნო სხდომა ჩატარდება თბილისში.

წინა პარლამენტმა ვერ მოახერხა არათუ საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება, არამედ კომისიამაც ვერ შეძლო მუშაობა და საკითხებიც კი ვერ დააყენა, რაზეც ძალიან მწყდება გული. ვფიქრობ, ძალიან საჭირო საქმეა საკონსტიტუციო ცვლილებები. შეიქმნება კომისია და იმ საკითხებს, რომელიც კენჭისყრამდეა მიყვანილი — ეს იქნება ქორწინების საკითხი თუ სხვა, ბუნებრივია, ჩვენ აუცილებლად ვუყრით კენჭს. რაც შეეხება პრეზიდენტის არჩევნებს, პრეზიდენტს აქვს ყველაზე დიდი ლეგიტიმაცია, ის არის საყოველთაო, სახალხო არჩევნებით არჩეული და მისი უფლებები არ შეესაბამება ამ ლეგიტიმაციას. აქ გვაქვს გარკვეული ნონსენსი“, — აღნიშნა ნუკრი ქანთარიამ.

თბილისის მაჟორიტარულ ოლქებში პირველივე ტურში გამარჯვება 4-მა კანდიდატმა მოიპოვა

ცესკოს მონაცემებით დათვლილია ხმების 99%-ზე მეტი. როგორც უკვე ცნობილია, საქართველოს მასშტაბით პირველივე ტურში გამარჯვება 24-მა მაჟორიტარობის კანდიდატმა მოიპოვა და ყველა მათგანი „ქართული ოცნების“ მიერაა წარდგენილი.

რაც შეეხება, კონკრეტულად დედაქალაქის მაჩვენებლებს. დედაქალაქში პირველივე ტურში გამარჯვება მხოლოდ 4-მა კანდიდატმა მოიპოვა. ესენი არიან: ზაზა ხუციშვილი, მამუკა მდინარაძე, ნინო გოგუაძე და გიორგი ვოლსკი.

ამ დროის მონაცემებით, დათვლილი ხმების მიხედვით პირველად მონაცემები თბილისის მსხვილი მაჟორიტარული ოლქებისთვის ასე გადანაწილდა:

ოლქი №3 ვაკე

ზაზა ხუციშვილი (ქართული ოცნება) — 50,53 %
პეტრე ცისკარიშვილი (ნაციონალური მოძრაობა) — 19,3%

ოლქი №4 საბურთალო

მამუკა მდინარაძე (ქართული ოცნება) — 51,7 %
ჯარჯი დოლიძე (ნაციონალური მოძრაობა) — 20.85%

ოლქი №5 საბურთალო

ნინო გოგუაძე (ქართული ოცნება) — 51,43 %
გიორგი როინიშვილი (ნაციონალური მოძრაობა) — 18.89%

ოლქი №14 ჩუღურეთი

გიორგი ვოლსკი (ქართული ოცნება) — 57,24 %
ირაკლი ჩოლოყაშვილი (ნაციონალური მოძრაობა) — 23.61%

ოლქი№1 მთაწმინდა
მეორე ტური ჩატარდება

სალომე ზურაბიშვილი (დამოუკიდებელი კანდიდატი) - 44,4 %
ნიკოლოზ რურუა (ნაციონალური მოძრაობა) — 26,9 %

ოლქი№2 ვაკე
მეორე ტური ჩატარდება

ბიძინა გეგიძე (ქართული ოცნება) — 48,83 %
ელენე ხოშტარია (ნაციონალური მოძრაობა) — 22,22%

ოლქი №6 საბურთალო
მეორე ტური ჩატარდება

ლევან გოგიჩაიშვილი (ქართული ოცნება) — 46,86%
სევდია უგრეხელიძე (ნაციონალური მოძრაობა) — 17,21%

ოლქი №8 ისანი
მეორე ტური ჩატარდება

ირაკლი აბუსერიძე (ქართული ოცნება) — 42,71
გიორგი ონიანი (ნაციონალური მოძრაობა) — 24,28%

საქართველოს პარლამენტს ყოველთვის კარგი თავმჯდომარეები ჰყავდა...

„პარლამენტის თავმჯდომარეები ისტორიულად საქართველოს ჰყავდა კარგი ან ძალიან კარგი და მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი თავმჯდომარე იქნება ძალიან კარგებს შორის, იმიტომ რომ დაგროვილია გამოცდილება, პარლამენტში არის ძალიან ბევრი ადამიანი“ — განაცხადა დავით უსუფაშვილმა კითხვაზე, ვინ იქნება პარლამენტის შემდგომი თავმჯდომარე. უსუფაშვილის თქმით, არა აქვს ვარაუდი, ვინ იქნება მისი შემცვლელი, თუმცა დარწმუნებულია, რომ საკანონმდებლო ორგანოს მომავალი ხელმძღვანელი კიდევ უფრო უკეთ გააგრძელებს პარლამენტის საქმიანობას.

დავით საყვარელიძე შოთა უტიაშვილს დაუპირისპირდა

შშს-ს ყოფილ მაღალჩინოსანს შოთა უტიაშვილს უკრაინის პროკურორის ყოფილი მოადგილე დავით საყვარელიძე არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხების შესახებ გამოთქმული მოსაზრების გამო უპირისპირდება. უტიაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებას მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართულობას აბრალებს.

“რა თქმა უნდა, ყველაფერში დამნაშავე ეხლა მიშაა და მისი ეგოცენტრიზმი და რომ არა მისი ხელშეშლა, დანარჩენი ლომები დაფლითავდნენ ბიძინას მოულოდნელად ხომ, შოთა უტიაშვილო! და ამიტომ ეხლა ყველა დარაზმული უნდა შევიდნენ და გაუპრავონ, რაც მოხდა?! საოცრება პირდაპირ. ანუ ლოგიკა სადაა? „ნეტავი, „ქოცები“ უფრო ნაკლებად შეგვეშინებინა და შეუმჩნევლად მოგვეპარა გამარჯვება“, — პრინციპში, არც რუსული ლიბერალური პარტიის მოდელია ცუდი. არიან თავისთვის, არავის უშლიან ხელს და მიდის პროცესი. მთავარია, ხომ ლიბერალური იდეების მატარებლები არიან.... ყელამდე განავალში სხედან, მაგრამ მაინც არიან....“ — წერს დავით საყვარელიძე შოთა უტიაშვილს.

როგორც შოთა უტიაშვილი წერს, „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანია გახდა ზეაგრესიული.

„გამოჩნდა მიშა და თქვა, რომ ჩამოვდივარ, ჯარი და პოლიცია ჩემს მხარეზეა. ჩატარდა უზარმაზარი მიტინგი. მთელი კამპანია გადაიქცა ერთ კითხვად: ჩამოვა თუ არ ჩამოვა. აქ გაიმარჯვა „ოცნებამ“. ისედაც ეჭვებში მყოფმა ხალხმა დაიჯერა, რომ „ოცნება“ რასაც ამბობდა „ნაციონალების“ ნამდვილ მიზნებზე, მართალი ყოფილა. მესიჯის ხაზგასასმელად, გივის მანქანაც კი ააფეთქეს.

P.S. რა თქმა უნდა, იყო ამომრჩევლის მასობრივი მოსყიდვაც, დანიშნებაც, ტერაქტიც და სხვა ყველაფერი. მაგრამ, თავიდანვე ვის ეპარებოდა ეჭვი, რომ ასეც იქნებოდა?“, — წერს შოთა უტიაშვილი.

უაზრო მიშა მეორე ტურში მონაწილეობის აზრს ვერ ხედავს!

„ჩვენ ყველამ დავინახეთ, ვისაც თვალები აქვს და ყურები აქვს, რომ ეს არჩევნები წარიმართა დიდი დარღვევებით ამის საფუძველს მაძლევს ის, რომ ივანიშვილმა წინასწარ დაანონსა, რა შედეგის მიღება უნდოდა და საარჩევნო კომისიები ისტერიულად მუშობდა, რომ დაესვათ ეს შედეგი,“ — აცხადებს საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

სააკაშვილის თქმით, „ოცნებამაც“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ “ ხმების დიდი პროცენტი მიიღო და პატივი უნდა ვცეთ თითოეული მოქალაქის არჩევანს, მაგრამ ივანიშვილმა გააყალბა არჩევნები.

„სამეგრელოში კარუსელი არ ეყოთ და საქმეში ჩართეს ბანდიტები შენგელიას მეთაურებით, ბოლო საათებში გაყალბდა არჩევნები აჭარაში ასე გაყალბდა ძალიან დიდი მასშტაბით არჩევნები თბილისში,“ — აცხადებს სააკაშვილი.

მისი თქმით, უახლოეს დღეებში საერთაშორისო თანამეგობრებისთვის უნდა მოხდეს ამ დარღვევების დარედაქტირება, ხოლო საუბარი იმაზე, რომ მეორე ტურში რამე შეიცვლება, რა თქმა უნდა, უაზრობაა.

რატომ გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ?“

ქართველთა უმრავლესობას კი ცხოვრება უნდა... მეტი არაფერი. უბრალოდ ცხოვრება... ოჯახური მყუდროება, სიმშვიდე... ანუ ყველაფერი ის, რისი ანტიპოდიცაა „მიშა“. ამ ადამიანებს უკვე ვერ მოატყუებ აღმშენებლობითი პროექტებით. მათთვის მიშა ნიშნავს ომს! მორჩა და გათავდა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბოლო მონაცემებით, 5-პროცენტიანი ბარიერი სულ სამმა პარტიამ გადალახა: პარლამენტში შევლენ ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნება“ (48,6%) მიშა სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობა (27,14%) და ირმა ინაშვილ-დათო თარხან-მოურავის „პატრიოტთა ალიანსი“ (5%).

სხვა პარტიებმა ბარიერი ვერ დაძლიეს. „ქიმს“ მიღმა დარჩნენ „თავისუფალი დემოკრატები“, რისი მთავარი მიზეზიცაა მათი არასწორი მენეჯმენტი ორ ცნობილ სკანდალთან დაკავშირებით; აგრეთვე „მარად გუშინდელი“ „ლეიბორისტები“, კომიკურ ფიგურად ქცეული დიდი ბანი და ა.შ.

მაგრამ ნაპოლეონი რომ ამბობდა „— სასაცილომდე ერთი ნაბიჯიაო“, ზუსტად ისაა, რაც მუდამ ემართებოდათ, ემართებათ და მიმდინარე საუკუნეში, როგორც ჩანს, ყოველთვის დაემართებათ „რესპუბლიკელებს“: დათო უსუფაშვილმა ლევან გოგიჩაიშვილთან წააგო. და არა მხოლოდ მასთან. წააგო კატასტროფულად. არადა, უსუფაშვილი (ასევე ხმალაძე, ბერძენიშვილი, ივლიანე ხაინდრავა) შეიძლება გიყვარდეს ან არ გიყვარდეს, მაგრამ ნებისმიერ კარგ პარლამენტს დაამშვენებდა.

წააგო ვისთან?! „პირველთან“ უფრო მეტად, ვიდრე „მეორესთან“.

თუმცა, ამის გამო თავის მოკვლას არ აპირებს და არც პოლიტიკიდან წავა, რადგან „რესპუბლიკელთა“ უნიკალურობაც ესაა: იქნებიან კიდევ ასე... 20 წელი ევროპული „ინტელექტუალური კლუბის“ ფორმატში და შემდეგ აუცილებლად ისევ დასჭირდებიან რომელიღაც სახელისუფლო ძალას: როგორც დასჭირდნენ ლეგიტიმაციისთვის, ანუ, ჟარგონით თუ ვიტყვით, „გაპრავებისთვის“, ზვიად გამსახურდიას (1990 წელს ეხვეწებოდა ბერძენიშვილებს, ერთიანი ბლოკი შევქმნათო), შემდეგ შევარდნაძეს, მერე სააკაშვილს... ივანიშვილს... და ვილაპარაკოთ ახლა, რომ „2%-იც ვერ აიღეს“. ვერ აიღეს და ნუ აიღეს — ამით ეს მართლა პარტია-უნიკუმი არ გაქრება.

* * *

რაც შეეხება ქალბატონ ბურჯანაძეს, მის მორიგ მარცხს ორი მთავარი მიზეზი აქვს და ორივე უნდობლობას უკავშირდება: ჯერ ერთი, ის, სინამდვილეში, არაფერს ამბობდა ისეთს, რასაც დღევანდელი ხელისუფლება არ აკეთებდა. „უბლოკო სტატუსი“ კი მორიგი ულტიმატუმის შთაბეჭდილებას ტოვებდა: „რუსეთმა ჯერ მოგვცეს გარანტია, რომ დაგვიბრუნებს აფხაზეთს და მერე... “

მიშა, 2004 წელს, ყველა შეხვედრაზე ეუბნებოდა ამას პუტინს და იდენტურ პასუხს იღებდა: „არც არაფერს დაგიბრუნებთ, მაინც ვერც ვერანაირ „ნატო“-ში ვერ შეხვალთ, ამიტომ პირობებს ნუ მიყენებთ და ჩაიკმინდეთ ხმა“.

ბურჯანაძეს პირდაპირ ისიც კი არ უთქვამს არც ერთხელ, რომ რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებს აღადგენდა და რა აზრი ჰქონდა მაშინ მის არჩევას თუნდაც პრორუსულად განწყობილი ელექტორატისთვის?

მეორე მიზეზი კი „წყეული წარსულია“, რომელიც ამ პოლიტიკოს ქალბატონს არ მოეშვება არასდროს — არც ერთი მომავალი საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნების დროს: მეტისმეტად დიდხანს იყო მიშასთან, რომლის გახელისუფლებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და მეტისმეტად დიდხანს მოქმედებდა უნისონში მის საგარეო პოლიტიკასთან 2008 წლამდე. ზოგჯერ კიდევ უფრო მკაცრი განცხადებებით მოსკოვის მიმართ, რამაც, პრორუსთა თვალში, საბოლოოდ, 2008 წლის საზარელი ტრაგედია განაპირობა.

* * *

5%-იან ბარიერს რაც შეეხება: რამდენიმე პარტია და მათი მომხრეები გულის ფანცქალით ადევნებდნენ თვალს პროცენტულ მაჩვენებლებს ტელეეკრანებზე: გადალახავს, ვერ გადალახავს... ბოლოს სულ სამმა გადალახა.

„მაღალი ბარიერი“ სერიოზულ პრობლემად იქცა, ზოგადად, ქართული დემოკრატიისათვის, თუმცა, ეს სხვა საკითხია. ახლა კი, სწორედ დემოკრატიული განვითარებისა და „პლურალისტური პარლამენტის“ კონტექსტში გავიხსენოთ გამაოგნებელი ისტორიული ფაქტი, რომელიც ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ყველამ მიივიწყა: 2003 წლის 2 ნოემბრის „საშინელი“ არჩევნების შედეგად, 7% - იანი საარჩევნო ბარიერი ექვსმა პოლიტიკურმა სუბიექტმა და თორმეტმა პარტიამ გადალახა!

თუ არ ჩავთვლით 1992 წლის პარლამენტს, რომელიც არ არჩეულა, არამედ, ფაქტიურად დაკომპლექტდა „სამხედრო საბჭოს“ მიერ ე.წ. „პრეფერენციების სისტემით“, როდესაც ამომრჩეველს შეეძლო, ერთდროულად სამი პარტიისთვის მიეცა ხმა (?!) სწორედ 2003 წლის 2 ნოემბერს აირჩა პირველი და, როგორც ჩანს, უკანასკნელი ნამდვილად მრავალპარტიული, პლურალისტური, დემოკრატიული პარლამენტი.

მაგრამ ის პლურალისტური პარლამენტი, რომელშიც უმრავლესობა არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ჰქონდა, მიშამ და მისმა გუნდმა დაამხო (იმავე „რესპუბლიკელების“ მხარდაჭერით, — დღეს რომ ცრემლებს აღვარღვარებენ „საპარლამენტო პლურალიზმზე“) და 2004 წლის გაზაფხულზე „აირჩა“, ფაქტიურად ერთპარტიული პარლამენტი — საკონსტიტუციო უმრავლესობით.

ამასთან დაკავშირებით, ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელიც გორში იყრიდა კენჭს, ნიშანდობლივი განცხადება გააკეთა: „რევოლუციამდე, ქვეყანა იყო არეული და უნდა დაგველაგებინა!“

დავაკვირდეთ: ზუსტად ასეთი პასუხი გასცა 1927 წელს ბენიტო მუსოლინიმ ერთერთი იტალიური გაზეთის კორესპონდენტს, როდესაც რომზე „მაშხალებით სვლის“ შესახებ ჰკითხეს. ანუ, „ქვეყანა იყო არეული და უნდა დაგველაგებინა“

ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ იმ ე.წ. „ვარდების რევოლუციას“ დემოკრატიასთან და პლურალიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა: ის იყო, ავტორიტარული მეთოდებით ქვეყნის სწრაფი მოდერნიზაციის პროექტი, რომელიც დასრულდა ისე, როგორც დასრულდა.

ამიტომ, იმ ხალხის კვნესა-გოდება, ვინც მაშინ (2003 წელს) ეს ინტენცია ვერ შენიშნა (ან არ შენიშნა) ხოლო დღეს მოთქვამს „არაპლურალისტური პარლამენტის“ გამო, ნამდვილად ვერ დაიმსახურებს თანაგრძნობას.

* * *

არჩევნების დასრულებისთანავე, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა საოცარი განცხადება გააკეთა: „შესანიშნავი დასწრება იყოო“.

51,63% „შესანიშნავი დასწრებაა?“

დავაკვირდეთ: ეს ციფრი ცესკოს საიტზე ისე გულმოდგინედაა დამალული, იოლად ვერ მიაგნებ. ესე იგი, ამ საპარლამენტო არჩევნებში მოსახლეობის თითქმის ნახევარმა მონაწილეობა არ მიიღო. მარგველაშვილმა კი ეს „შესანიშნავ დასწრებად“ იმიტომ გამოაცხადა, რომ ზოგადად, ქართულ პოლიტიკურ კლასს (რომელსაც დღევანდელი პრეზიდენტი თავს აკუთვნებს) არ აწყობს აღიაროს: იგი მთლიანად დევალვირებულია მოსახლეობის დიდი ნაწილის თვალში.

საქართველოს მოქალაქეთა ნახევარი ვერ ხედავს თავისი ინტერესების გამომხატველს პოლიტელიტაში და სრულიად გულგრილია ზემოთ გამართული თამაშობებისადმი. ამის მიზეზი, ისევ და ისევ, ბოლო 25-30 წლის ისტორიაა მისი გადატრიალება-რევოლუციებით, რომელსაც უბრალო ადამიანები სწორედ ასე აღიქვამენ: „ზემოთ“ რაღაც ხდება და ჩვენ ვინ რას გვკითხავს?“ ამიტომ, ისევ და ისევ, რაც 2003 წლის ნოემბერში მოხდა, არანაკლები დანაშაული იყო ქართველთა სათუთი, ახლადშობილი დემოკრატიული შეგნებისთვის, ვიდრე 1992 წლის სისხლიანი გადატრიალება.

* * *

რატომ მოიგო არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ — არასწორი, უფრო ზუსტად, არასწორად დასმული კითხვაა. ბევრად რელევანტურია ვიკითხოთ: **რატომ წააგო მიშამ და მისმა პარტიამ? ვინაიდან სწორედ ზემოთ აღწერილი ნიჰილიზმის მიზეზით და შედეგად, ქართველი ამომრჩეველი „მომხრედ“ კი არ გამოდის, არამედ „მოწინააღმდეგედ“:**

8 ოქტომბრის არჩევნები ბიძინამ კი არ მოიგო, არამედ მიშამ წააგო და ამის მთავარი მიზეზიც თავადაა: როგორც არ უნდა „გაეპიარებინა“ „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ ეთერში ფერადი, ლამაზი ტურისტული თუ ინდუსტრიული პროექტები: ბათუმის უნივერსიტეტი... გოდერძის გვირაბი... ლაზიკა... და ა.შ და ა.შ“, ხალხს ასე იოლად ვერ მოატყუებ, რადგან ქართველთა ობივატელური უმრავლესობის თვალში მიშა ასოცირდება არა შადრევნებთან, არა ბათუმის ცათამბჯენებთან, არა სათხილამურო ტრასებთან, არამედ მუდმივ დაძაბულობასთან, 2004 წელს ცხინვალში სამარცხვინოდ დაჩოქილ ქართველებთან, აგვისტოს საზარელ ომთან... ამ უმრავლესობისთვის მიშა ნიშნავს ომს! ომი კი არავის არ უნდა.

თანაც, თავად მიშამ, სრულიად უცნაურად, გააკეთა ყველაფერი, რათა ეს აღქმა გაეძლიერებინა: ჯერ ერთი, თავად უკრაინაა ომში და იქედან მიშას ჩამოსვლა აქ მეორე ფრონტის გახსნად აღიქმებოდა.

გარდა ამისა, ეს გაუთავებელი ფარული ჩანაწერები რევოლუციურ სცენარებზე... ბარიკადებზე... რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, რომ „გაყალბებულია“, ობივატელს ესმის ის, რაც ესმის და, კაცმა რომ თქვას, ხმაც „მეტისმეტად ჰგავს“, გაყალბებული იყოს.

ქართველთა უმრავლესობას კი ცხოვრება უნდა... მეტი არაფერი. უბრალოდ ცხოვრება... ოჯახური მყუდროება, სიმშვიდე... ანუ ყველაფერი ის, რისი ანტიპოდიცაა „მიშა“. ამ ადამიანებს უკვე ვერ მოატყუებ აღმშენებლობითი პროექტებით. მათთვის მიშა ნიშნავს ომს! მორჩა და გათავდა.

* * *

თუ გავითვალისწინებთ, **რომ მაჟორიტარულ ოლქთა უმრავლესობას „ქოცები“ იგებენ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მომავალ პარლამენტში მათ, შესაძლოა, არათუ აბსოლუტურ, არამედ კონსტიტუციურ უმრავლესობას „მიუკაკუნონ“. მით უმეტეს ინაშვილთან და თარხან-მოურავთან კავშირში. ანუ, არ არის გამორიცხული ნაცების ერთადერთი „გამარჯვება“ იგივე სანდრა გახდეს — ზუგდიდის სოფლებში.**

მაგრამ ეს მიშასთვის იქნება სერიოზული წარმატება და არა პარტია „ნაციონალური მოძრაობისთვის“.

ხოლო მთლიანობაში, იმან, რაც მოხდა, ნამდვილად დაადასტურა: მართალი იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ის ნაწილი, რომელიც ამბობდა, რომ სერიოზული წარმატებისთვის აუცილებელია, ეს პარტია გაემიჯნოს სააკაშვილს და ამით ამომრჩეველს შესთავაზოს „კარგი — ცუდის გარეშე“.

ესე იგი, შესთავაზოს ის ნამდვილად დადებითი, რაც რეფორმების შედეგად „დაიდო“ ამ ქვეყანაში (საპატრულო პოლიცია, კორუფციის აღმოფხვრა, ინფრასტრუქტურა, მედიცინა, საერთო-ეროვნული გამოცდები, იუსტიციის სახლები), ოღონდ ომის, უბედურების, დაძაბულობის გარეშე.

ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობდა მოდერნიზაციის იდეას, მაგრამ არ აწყობდა თვით მიშას, რომელიც არ ეშვება და არც ოდესმე მოეშვება (მისი მენტალობიდან გამომდინარე) „იმავე მდინარეში“ მეორედ, მესამედ და მეათედ შესვლის მცდელობას. შესაბამისად, ეს პარტიაც „მარად მეორედ“ დარჩება მანამ, სანამ არ აღიარებს, რომ მიშა, როგორც პოლიტიკოსი, უკვე წარსულია.

იგი მეტისმეტად სასტიკად დამარცხდა 2008 წელს და ვეღარასოდეს მოგრუნდება.

ნიკა იმნაიშვილი

ისინი ვერასოდეს იქნებიან გამარჯვებული იმ ხალხზე, რომელზეც ძალადობდნენ

„ქართული ოცნების“ წევრის ეკა ბესელიას განცხადებით ნაციონალური მოძრაობის ლიდერების მხრიდან შანტაჟის და ულტიმატუმების ენით საუბარი მიუღებელია. ამის შესახებ ბესელიამ ნაციონალური მოძრაობის მიერ აქციების შესაძლო დაწყების კომენტირებისას განაცხადა.

„უნდა შეეგუონ, რომ ვერასოდეს ვერ იქნებიან გამარჯვებულები იმ ხალხზე, რომელზედაც ისინი ძალადობდნენ წლების განმავლობაში. ამიტომ, მათ მიერ დაანონსებული აქციები თუ გამოსვლები გამოხატვის თავისუფლებაში უნდა ჩაეტიოს და ამ უფლების უზრუნველყოფა ქვეყანაში დაცულია, ხოლო შანტაჟის ენით საუბარი მათი ულტიმატუმების ენით საუბარი არის აბსოლუტურად მიუღებელი“, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

შეგახსენებთ, ნაციონალური მოძრაობა 8 ოქტომბრის არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხს აყენებს. პარტიაში შემდგომ ნაბიჯებზე მიმდინარეობს კონსულტაციები.

ცუდ ხელისუფლებას ის კარგი ხალხი ირჩევს, ვინც არჩევნებში არ მონაწილეობდაო, უთქვამს დიდ პოლიტიკოსსა და სახელმწიფო მოღვაწეს უინსტონ ჩერჩილს.

ამიტომ იწვევდნენ გულმხურვალედ იმ კარგ ხალხს საარჩევნო უბნებში 8 ოქტომბერს ჩვენი პარტიული ბოსები მიკროფონთან ყოველი შედგომისას და ამომრჩეველთა ნახევარი მიიყვანეს კიდეც ურნებთან.

ხოლო როგორ ხელისუფლებას მივიღებთ დანარჩენი კარგი ხალხის გარეშე, ვისი უბნებამდე მიყვანაც ვერა და ვერ მოხერხდა, ამაზე მალე დავკვალიანდებით.

ნაცების გადასწორებული სიფათები, ანუ...

მომსვლელი მოვიდა, წამსვლელი წავიდა!

ერთის დაბეჯითებით თქმა კი უკვე ახლავე შეიძლება, სანამ ხმები საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის დათვლილი: იმის მიუხედავად, რომ უკანასკნელ დღეებში ელექტორატს თავი წასჭამეს აბეზარმა და სულსწრაფმა ნაცებმა, „ოცნების“ ბატონობა საბოლოოდ დამთავრდა, 9 ოქტომბრიდან ჩვენ მოვდივართ და მუშაობას ვიწყებთო, ვერც „მოვიდნენ და ვერც „მუშაობა დაიწყეს“, თუმცა დღეს უკვე 11 ოქტომბერია. მომსვლელი მოვიდა, წამსვლელი წავიდა! და როგორც გაირკვა, კიდევ 4 წელი უნდა უცადონ „მოსვლის“ და „მუშაობის დაწყების“ შესაძლებლობას. ახლა მთელი ნაცმოძრაობა ზის და იმაზე იმტვრევს თავს, რა სტრატეგიას დაადგნენ სახვალიოდ.

არადა, სწორედ რომ საინტერესო იყო მამალი ნაცების გიგა ბოკერიასა და ნიკანდრო მელიას გადასწორებული სიფათების თვალთვალი — 7 ოქტომბრის საღამოს ამაყ-თავდაჯერებულის ნაცვლად 8 ოქტომბრის საღამოს იმედგაცრუებულ-შეშლილის ნახვა. სწორედ რომ საცოდაობა გახლდათ. ნიკანდრო და გიგა იმ ჯიბის ქურდებს ჰგავდნენ, რომლებსაც ფაქტზე დაიჭერენ ავტობუსში და სახეგადატეტკილები ცდილობენ, რაღაც დახვლანჯონ თავის გასამართლებლად.

მაგრამ მარტო დახვლანჯვას არ სჯერდებიან. ჯერ იყო და მარნეულს აწვიმეს ქვის წვიმა, სამეგრელოში უბნები დაარბიეს, მეორე დღეს კი იყო „პერსონალური“ მივარდნა ცესკოში... ახლა კი ღმერთმა იცის, რა საეშმაკოს მოიფიქრებენ!

ამრიგად, „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 48,6 პროცენტი მიიღო და, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთპიროვნულად ლიდერობს, ნაცმოძრაობამ ხმების 27,14 პროცენტი მოაგროვა, პატრიოტთა ალიანსმა — 5 პროცენტი.

ძალიან გვანერვიულა პატრიოტთა ალიანსმა. კვირა დილიდან იმაზე იყო გულისხეთქვა — გავა, ვერ გავა? მადლობა ღმერთს, გავიდა და 6-კაციანი ფრაქციით შევიდა ახალ პარლამენტში.

გემბანს იქით დარჩნენ ირაკლი ალასანია, პაატა ბურჭულაძე, შალვა ნათელაშვილი, დავით უსუფაშვილი და ნინო ბურჯანაძე, მიუხედავად მათი ხმამაღალი, მჭახე წინასწარი განცხადებებისა, რომ ბარიერის გადალახვა არ გაუჭირდებოდათ.

ქალბატონი ნინო არც ახლა იტეხს იხტიბარს. იმის ნაცვლად, რომ თავისი წარუმატებლობა გააანალიზოს ამ წარუმატებლობის სათავის მოსაძიებლად, „ტოტალურ გაყალბებაზე“ ალაპარაკდა. ხმების 14 პროცენტი (?!) მოვაგროვე, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა წარმტაცა და ახლა სასამართლოთი შევეცდებით მოპარულის დაბრუნებასო.

ბიძინას მიერ „გაქურდვას“ აბრალებს თავის კოლოსალურ ჩავარდნას ფსიქიატრის ძველი პაციენტი შალვა ნათელაშვილი. ე. ი. ყველაფერზე დაბრალება, გარდა საკუთარი თავისა! ასეა ახლა, ასე იყო წინა არჩევნებზეც.

და კეთილად მახსენდება ყოფილი პარტიული ლიდერების დავით გამყრელიძისა და გიორგი თარგამაძის სამოქალაქო ვაჟკაცობა, როცა მათ თავი დაანებეს პარტიულ მოღვაწეობას, უბრალოდ გაქრნენ პოლიტიკური არენიდან, როცა არჩევნებში გაბითურდნენ — მათმა პარტიებმა ხმების უმცირესი რაოდენობა მოიპოვეს, ბარიერი ვერ გადალახეს და მიხვდნენ, რომ ეს პარტიები და თვითონაც საზოგადოებისთვის არაფერს წარმოადგენდნენ. მაგრამ ეს რომ გააკეთო, კიდევ ვიმეორებ, ვაჟკაცობა და საკუთარი თავის პატივისცემა უნდა გქონდეს. ასეთი ვაჟკაცი და თავისი თავის პატივისმცემელი 2016 წლის არჩევნებში მხოლოდ ირაკლი ალასანია აღმოჩნდა: წააგო და წაგებას კაცურად შეხვდა, სხვისთვის არაფერი დაუბრალებია და არც გაყალბებაზე დაუწყია წუწუნი. ასეთი წაგების შემდეგ პარტიულ მოღვაწეობას ვწყვეტო, მწუხარედ თქვა და მორჩა!

წინ არჩევნების II ტურია, ანუ წინ ახალი წივილ-კივილია თუ იმ წივილ-კივილებით ვივარაუდებთ, რაც უკვე მოვისმინეთ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებისჯანმრთელი ფილტვებიდან ამოსული.

ამას ახლა გეგმავენ ბოკერია-მელია-რატიანის მეთაურობით. ამასაც გეგმავენ და ბევრ სხვა უკულმართობასაც, იმ „უგანას“ საკომპენსაციოდ, რაც მათმა ჩინგაჩუკ-ბელადმა მოგვასმენინა ოდესიდან, ადრინდელი „არიქა, მოვდივაროს“ ნაცვლად, როგორც კი იყნოსა, რომ არჩევნები ისე არ მიმდინარეობდა, როგორც მას სურდა და როგორც წინასწარმეტყველებდა.

ისე რომ, წინააღმდეგ დგომა არ დასრულებულა. ხვალ-ზეგ ათასგვარ სისაძაგლეს უნდა ველოდეთ. გამარჯვებულმა ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და ქვეყანა აარიდოს ამ მოსალოდნელ სისაძაგლეებს!..

სანდრო ალექსიძე

⦿ ფიქრები ხმამაღლა

და მევე მიყვარს...

რა მიყვარს?

ის, რაც ილიას უყვარდა...

* * *

ხომ ის მოხდა, რაზეც ოცნებობდი, ახლა მაინც რით ხარ უკმაყოფილო? — მეკითხება ახლობელი და კეთილისმსურველი.

აჰა, გაიხარე, ხომ გინდოდა საკონსტიტუციო უმრავლესობა! — მეუბნება შეფარული ნაც(ონალ)ი.

არც ერთმა იცის, რით ვარ უკმაყოფილო და არც მეორემ — რა მიხარია...

* * *

მიხარია, რომ:

გადავრჩით;

ყველაფერმა მაინც მშვიდობიანად ჩაიარა;

ნაცები ეროვნული ინტერესის შესატყვის კანონპროექტებს ველარ დაბლოკავენ;

პრეზიდენტიც მიხვდება, რომ ვეტოებით თამაშმა აზრი დაკარგა;

პარლამენტში ველარ დავინახავ ბარამიძეს, თარგამაძეს, მინაშვილს, მაჭავარიანს...

* * *

უკმაყოფილო ვარ იმით, რომ:

პარლამენტში კვლავ ვიხილავ გოგორიშვილს, ნადირაშვილს, ბობოხიძეს...

პარლამენტში კვლავაც არ გვეყოლება სამშობლოზე მოფიქრალი ოპოზიცია...

* * *

თუმცა, პარლამენტს გარეთ ვინ ფიქრობს სამშობლოზე?!

* * *

წაიკითხე ნაირა გელაშვილის სტატია? — მკითხა არაერთმა აღფრთოვანებულმა.

წავიკითხე.

ნაირა გელაშვილი რომ დიდებულად წერს (რომანებს არ ვგულისხმობ), ეს საყოველთაოდ ცნობილია.

ამჯერად, სანდრა რულოვსზე წერს.

მეც მოვიხიბლე ბასრი პუბლიცისტური კალმით, მაგრამ კარგად რომ გავიაზრე, ცოტა შევცბუნდი.

მიშასა და სანდრას ჯაყოსა და მარგოს ადარებს.

ერთი შეხედვით, ეფექტური შედარებაა, მაგრამ...

კი ბატონო, მიშა ჯაყოა, მაგრამ როგორც კი სანდრას მარგოსთან გააიგივებ...

მიკვირს, ასეთ ჭკვიან ქალბატონს (ნიჭზე ნურაფერს ვიტყვით) ეს როგორ დაემართა?!

მიკვირს და არც მიკვირს:

ასე იმიტომ ემართება, რომ მოვლენებს თავისი კარ-მიდამოდან აფასებს და არა ,,სამშობლოს სანახავიდან“...

მისი კარ-მიდამო კი „კავკასიური სახლია“ — ნაცებისაგან წართმეული და „ოცნებისგან“ დაბრუნებული...

ეს ის „კავკასიური სახლია“, გამეორებით არ დავიღლები, მას შემდეგ რომ დააარსა, კავკასიის ერთიანობის იდეის ამაღორძინებელი ზვიად გამსახურდია რომ მოინელეს.

როგორც კი ამ საკითხს შეეხო და ხელისუფლებას მადლიერება გამოუხატა, სტატია მყისვე გაუფერულდა (სხვათა შორის, ორიოდე კვირით ადრე, დავით ნარმანიას მიმართავდა, მარტო გადადგომა არ კმარა, უნდა გაქრე კიდეცო. დავიჯეროთ, „კავკასიური სახლის“ პრობლემა თბილისის მერის ჩაურევლად გადაწყდა? რაც მთავარია, ნარმანია ამ ხელისუფლებას არ ეკუთვნის?! ესეც ვთქვათ: მიშასა და სანდრასგან გაქრობა არ მოუთხოვია).

კიდევ უფრო განსაცვიფრებელი სტატიის ეს პასაჟი აღმოჩნდა: **„სანდრა რულოვსი, რომელიც აქ, როგორც ჩვენი ერთ-ერთი მეგობარი, ხშირად დაიარებოდა. და ყველანი სიყვარულით ვიღებდით მას. ის კი, სათნოღიმილიანი და მეგობრული, ჩვენთან სტუმრად რომ დადიოდა, და წვეულებებზე თავის თანამემამულეებს ხვდებოდა, თურმე, ჩვენს შენობას სათავისოდ ათვალიერებდა“...**

აი, ასე: ვიდრე შენობის წართმევას დააპირებდა, სანდრა სათნოღიმილიანი მეგობარი ყოფილა, რომელსაც „კავკასიურ სახლში“ სიყვარულით იღებდნენ...

ამ დროს იტყვიან, კომენტარი ზედმეტიაო.

ამიტომაც აღარა აქვს ფასი მწერლის (პუბლიცისტის) სიტყვას.

გალაკტიონი კი რას გვეუბნება?
დაბრკოლებათა ათასგვარ საკანს,
შეურაცხყოფის სუსხსაც ავიტან,
ოღონდ ვხედავდე სიცოცხლის
საგანს
ჩემი სამშობლოს სანახავიდან.

მარტოობასაც ავიტან მწარეს,
უმეგობრობას ავიტან მძიმეს,
ჩემი სამშობლოს სანახავიდან
ოღონდ ვხედავდე შუქს
მოციმციმეს...

ჩემი სამშობლოს სანახავიდანო — გალაკტიონმა.

* * *

და მაინც, რა უყვარდა ილიას?

ხალხის ხმას, მის მწუხარებას მიყურადებული ილია მართლაც განსაცვიფრებელ სიტყვებს წერს:

მის მწუხარ ხმებში ჩემს გულის ხმას
ვსცნობ
და მევე მიყვარს ჩემი წუხილი...

* * *

რამდენი გვეგულება ახალ პარლამენტში შემსვლელთა შორის ისეთი, ილიასა და გალაკტიონის ზემოხსენებული სტრიქონები გაცნობიერებული რომ ჰქონდეს?

წაკითხული?

* * *

და მევე მიყვარს ჩემი წუხილი...

იოსებ ჭუმბურიძე

⦿ აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

რატომ იყო „საზღვარი“ გახსნილი?

პირველად ამ ბოლო 23 წლის განმავლობაში არჩევნების დღეს გალი-ზუგდიდის სამივე გადასასვლელი (ცენტრალური, ხურჩის, ორსანტიის) გახსნილი იყო და გალის რაიონის მცხოვრებლებს შესაძლებლობა მიეცათ დაუბრკოლებლივ გადმოელახათ ადმინისტრაციული საზღვარი. უფრო მეტიც, ენგურსგაღმელი ძალოვნები ხელსაც უწყობდნენ დევნილებს, რომ გამოეხატათ თავიანთი არჩევანი, რაც ძალიან საგულისხმოა.

გავრცელებული ვერსიით ადმინისტრაციული საზღვრის არ დახურვა და აფხაზური მხარის ლოიალური დამოკიდებულება არჩევნებზე ხმების მიმცემებისადმი ცნობილი ექიმის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, გალის რაიონის მკვიდრის ოთარ მარშავას სახელს უკავშირდება,რომელმაც ათი ათასობით დევნილს, ათასობით ეთნიკურ აფხაზს უფასოდ უმკურნალა და ოპერაციები გაუკეთა როგორც გალში ისე ქუთაისში, სადაც ის ამჟამად მუშაობს. ის ძალიან უყვართ და პატივს სცემენ აფხაზები. **„— მე საქართველოს ხელისუფლებისაგან მქონდა უფლება, დევნილებისთვის განმეცხადებინა, რომ აუცილებლად დაიწყება მოლაპარაკებები ქართველებსა და აფხაზებს შორის მშობლიურ მიწა-წყალზე მათს დაბრუნებასთან დაკავშირებით. ამ თემაზე დევნილებთან დიდი ხანია, არავის ულაპარაკია, ამიტომაც დევნილები აღფრთოვანებით ხვდებოდნენ ამ წინადადებას. ასევე შემიძლია ვთქვა, რომ აფხაზური მხარის სურვილია, ამ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში ისევ „ქართული ოცნება“ დარჩეს. მე შევხდი და ვესაუბრე აფხაზურ მხარეს, ასევე ჩემს თანამემამულეებს როგორც ენგურს გაღმა ისე გამოღმა. მე მათ ყველას ვიცნობ და მეც მცნობენ, რადგან ჩემთან აქვთ გავლილი მკურნალობის კურსები. ისინი ენდობიან ჩემს სიტყვას. ახლა ჯერი ხელისუფლებაზეა“,** — განუცხადა ოთარ მარშავამ ,,საქართველოს რესპუბლიკას“.

არჩევნების დღეს მოვიარე სამივე გადასასვლელი. 700-მდე ადამიანმა დაუბრკოლებლად გადმოლახა ისინი და ხმა მისცა მათთვის სასურველ პარტიას და მაჟორიტარობის კანდიდატს.

ლადო ქირია,
ზუგდიდი

პაატა ბურჭულაძემ თვითგანადგურების ღილაკს ხელი დააჭირა და თავი აიფეთქა

არჩევნები 2016 დასრულდა. ზოგადი სურათი დაიდო, თუმცა წინ მეორე ტურის პერიოდი და რამდენიმე დასაზუსტებელი მონაცემია. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, 34 მაჟორიტარის საპარლამენტო სავარძლის საკითხი ხელახალი არჩევნებით გადაწყდება. მანამდე კი „ამერიკის ხმა“ შეეცდება ეგრეთ წოდებული ზუმი მაქსიმალურად დააშოროს და მიღებული შედეგები რაციონალური მიზეზების თანმიმდევრობის ჭრილში შემოგთავაზოთ.

2016 წლის 8 ოქტომბრისთვის პოლიტიკური ვითარება საქართველოში ისე გადანაწილდა, რომ ძალები, ვისაც მანამდე რეიტინგები წარმატებას უქადდა, საერთოდ პარლამენტს გარეთ აღმოჩნდნენ. ერთი შეხედვით, ეს სუბიექტურმა ფაქტორებმა განაპირობეს, ვგულისხმობთ პარტიის შიგნით არსებულ ვითარებას. ერთიან ფონზე კი, ამ ცვლილებამ პოლიტიკური თანაფარდობის მნიშვნელოვანი რყევა და პოლიტიკური პლურალიზმისა და დემოკრატიზაციის განვითარებისთვის არც თუ სახარბიელო შედეგი განაპირობა.

ამ დროისთვის პარლამენტის სავარაუდო კონფიგურაცია ასეთია: დეპუტატების მანდატებს „ქართული ოცნება“, „ნაციონალური მოძრაობა“ და „პატრიოტთა ალიანსი“ იყოფს.

ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ ამომრჩეველთა ხმების დაქსაქსულობის საქმეში ყველაზე დიდი წვლილი პაატა ბურჭულაძის „სახელმწიფომ ხალხისთვის“ შეიტანა, რომელიც პოლიტიკურ სარბიელზე ერთ ღამეში აღმოცენდა, განვითარების პიკს ელვის უსწრაფესად მიაღწია, როგორც კონკურენტუნარიანმა პოლიტიკურმა ძალამ და კიდევ უფრო მოულოდნელად, არჩევნების წინ, ამომრჩევლის თვალწინ ჰარაკირი ჩაიტარა.

პოლიტიკური განაცხადი პაატა ბურჭულაძემ არჩევნებამდე ხუთიოდე თვით ადრე მაისში გააკეთა. თუმცა მანამდე, მის მიერ ჩამოყალიბებული საქველმოქმედო ორგანიზაცია საზოგადოებისთვის უკვე ტოვებდა შთაბეჭდილებას და აჩენდა მოლოდინს პოლიტიკურ მოთამაშედ ქცევის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი მსოფლიო ბანი ყოველთვის ამბობდა, „მე პოლიტიკაში არაფერი მესაქმებაო“. პაატა ბურჭულაძის ჯერ კიდევ არაპოლიტიკური ორგანიზაცია, 2016 წლის მაისამდე ჩატარებული კვლევებით, ძალიან ბევრ გამოცდილ პოლიტიკურ ორგანიზაციაზე უკეთეს რეიტინგს აჩვენებდა. როგორც საზოგადოების მახვილი თვალი წინასწარ ამჩნევდა, პაატა ბურჭულაძის ორგანიზაციამ პოლიტიკური განაცხადი გააკეთა. არჩევნების წინ, ორგანიზაციამ ალიანსის სახე მიიღო. მასში მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამოცდილების მქონე ფიგურები აღმოჩნდნენ ახალად შექმნილი და ძველი პარტიებით. მაგრამ „გირჩით“, გიორგი ვაშაძის „ახალი საქართველოთი“ და „ახალი მემარჯვენეებით“ გაძლიერებულმა „სახელმწიფომ ხალხისთვის“ არჩევნებამდეც ვერ შეძლო ამ ფორმით მიეღწია. მან ისევე სწრაფად დაიწყო დაშლა, როგორც გაერთიანება და ამ პროცესში საკუთარი წევრების განაწყენება და მათი განდგომაც მოასწრო. ამდენად, ორგანიზაციამ, რომელსაც არჩევნებამდე ხუთი თვით ადრე, მნიშვნელოვანი რეიტინგი ჰქონდა, მოგვიანებით, არჩევნებამდე თვენახევრით ადრე კი მას მესამე ძალად მოიაზრებდნენ პარლამენტში, უბრალოდ, თვითგანადგურების ღილაკს ხელი დააჭირა და თავი აიფეთქა. შესაბამისად, დაიქსაქსა პაატა ბურჭულაძის ორგანიზაციის მიმართ სიმპათიებით განწყობილი ამომრჩევლების ხმები და ამ ყველაფერმა პოლიტიკური ვითარება გაღუნული სარკის პრინციპით სპონტანურად შეცვალა. შეიძლება ითქვას, რომ შედეგი, რაც დღეს საპარლამენტო არჩევნებიდან გვაქვს, განაპირობა პაატა ბურჭულაძის „სახელმწიფომ ხალხისთვის“ — ჯერ შექმნის მოლოდინმა, შემდეგ შექმნამ, ბოლოს კი განადგურებამ.

ასე რომ, არა პოლიტიკოსმა, არამედ მომღერალმა, პოლიტიკური გამოცდილების არქონის მიუხედავად, მაინც შეძლო და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ პოლიტიკაში 2016 წლის არჩევნების შედეგებზე.

ახლა არც ბურჭულაძის ორგანიზაციიდან იქნება პარლამენტში ვინმე, არც „გირჩიდან“, არც ვაშაძის „ახალი საქართველოდან“, არც „ახალი მემარჯვენეებიდან“. სამაგიეროდ, მკვეთრად მემარცხენე და პრორუსულ ძალას — „პატრიოტთა ალიანსს“, რომელსაც დიდი ხნის წინათ მივიწყებული და ახლა რეაბილიტებული კომუნისტური ძალები უჭერენ მხარს, პარლამენტში ვიხილავთ, ხოლო თუ მათ, „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა პარლამენტში აქტიურად დაიწყეს, საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე „ქართული ოცნების“ პროდასავლურობის ასე ტანჯვა-წამებით ნაგები იმიჯიც შეიძლება გაიფანტოს, რაც ქვეყანას არც თუ სახარბიელო პოზიციაში ჩააყენებს.

„Radio Voice of America“

საქართველოს დემოკრატიული გარდაქმნები სხვა აღმოსავლეთევროპული ქვეყნებისთვის შესანატრიც კია!

გავლენიანი ამერიკული გამოცემა „The Hill“, ცნობილი ანალიტიკოსის თეოდორ კარასიკის სტატიას აქვეყნებს, სადაც ავტორი მიუთითებს, რომ საქართველოს დასავლეთისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მას მეტი დახმარება ესაჭიროება.

„ნიუსპრესი“ გვთავაზობს ამ მასალის რეზიუმეს:

საქართველო რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაშია მოქცეული და მას აშშ-ის დახმარება ესაჭიროება.

გავიხსენოთ, რომ რუსულმა დათვმა საქართველოს ტერიტორიის ნაწილები — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი — 2008 წლის აგვისტოს მომხდარი ხუთდღიანი ომის დროს მიიტაცა, მანამდე კი, 1993 წლიდან ხელს უწყობდა მათ საქართველოსაგან ჩამოშორებას. 2008 წლიდან სეპარატისტული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებიან, რაც მოსკოვ-თბილისის დაპირისპირების მთავარ მიზეზს წარმოადგენს. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი 2014 წლიდან იმავეს აკეთებს უკრაინის მიმართაც, რომელსაც ყირიმი წაართვა. გარდა ამისა, თბილისზე ზეწოლის მოსახდენად კრემლი ენერგეტიკულ იარაღსაც რეგულარულად იყენებს. ამის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ევროატლანტიკურ სივრცეში დარჩეს.

ისტორიულად საქართველო მეტად რთულ რეგიონში მდებარეობს, სადაც რუსეთი, ირანი და თურქეთი თავიანთ გავლენას აგრძელებენ. კრემლის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გაკონტროლება საქართველოს გეოპოლიტიკურად დასავლეთისაკენ უბიძგებს, მაგრამ იმავდროულად თურქეთის, აზერბაიჯანის (და რუსეთის) ერთმანეთთან დაახლოებით საქართველოსთვის მანევრების შესაძლებლობის შანსი მცირდება — თბილისი უარს ვერ იტყვის აზერბაიჯანის ენერგომატარებლების ტრანზიტზე.

ბუნებრივია, თბილისი ეჭვის თვალით უყურებს სომხეთს, რომელიც რუსეთის კლიენტია. გარდა ამისა, შავი ზღვა, ყირიმისა და ნატოს მანევრების გამო, აშშ-სა და რუსეთს შორის „განხეთქილების ვაშლი“ ხდება და ესეც საქართველოზე მოქმედებს.

საქართველო გეოგრაფიულად შავ და კასპიის ზღვას შორის მოქცეულ ტერიტორიაზე მდებარეობს და, შესაბამისად, ევროპაში ენერგონედლეულის ტრანზიტისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მთავარ მარშრუტად ითვლება. სწორედ ამიტომ კოლხიდის უსაფრთხოებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ევროკავშირისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია როგორც საქართველოს ნავსადგურებიდან (სუფსა-ბათუმიდან) გატანილი ნავთობი, ასევე „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ და „ბაქო-თბილისი-ერზერუმის“ მილსადენების მეშვეობით მიღებული ენერგოშემცველები. გარდა ამისა, ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის სასარგებლოა ის გეგმები, რომლებიც თურქმენეთის გაზის გამოყენებას ითვალისწინებს, „აბრეშუმის დიდი გზის“ საშუალებით. ამრიგად, შეიძლება ითქვას: საქართველო ევროკავშირის უსაფრთხოების ყველანაირი სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სამხრეთ კავკასია კონტინენტის ისეთი მნიშვნელოვანი რეგიონია, რომელიც ატლანტის ოკეანეს, ხმელთაშუა, შავი და კასპიის ზღვებით, შუა აზიასთან აკავშირებს. სამხრეთ კავკასია „აბრეშუმის დიდი გზის“ პლაცდარმია და ამიტომაც აშშ-ისა და ევროკავშირის სტრატეგიულ და ეკონომიკურ ინტერესებში შედის; საქართველო სასიცოცხლოდ აუცილებელი ნაწილია აშშ-ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურისათვის: რამდენადაც ნატო ცდილობს თავისი მოკავშირეები რუსეთის გაფართოებისაგან დაიცვას, თბილისიც, თავის მხრივ, (ვალში არ რჩება) აქტიურად მონაწილეობს ერაყისა და ავღანეთის სამშვიდობო მისიებში; მცირერიცხოვანი ქართული სამხედროსაზღვაო ფლოტი მონაწილეობს ნატოს შავი ზღვის მანევრებშიც, რაც თბილისს ნატოსთან აახლოებს; საქართველო ცდილობს ნატოს სრულფასოვანი წევრი გახდეს და მზადყოფნაშია ტერორიზმის, მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, აგრეთვე ყირიმიდან წამოსული რუსეთის ასიმეტრიული მუქარების მიმართ.

საქართველოს კიდევ ერთი კუთხით უნდა შევხედოთ: ხელისუფლების მიერ ქვეყნის ეფექტური მართვა თბილისს ატლანტიკურ ალიანსთან კიდევ უფრო მეტად დააახლოებს.

პირველ რიგში ამაში იგულისხმება, რომ ევროპაში საქართველოს წონა და ავტორიტეტი იზრდება. ბუნებრივია, თბილისი ეუთოს წევრია, მაგრამ იმავდროულად ის ევროკავშირის იმედისმომცემი პერსპექტიული წევრიც არის. საქართველო ევროკავშირის ინტერესებისათვის საკვანძო ქვეყანაა. უვიზო რეჟიმის მიცემით თბილისი ფოკუსირებას მოახდენს სასაზღვრო კონტროლზე და მიგრანტების ნაკადზე.

მეორე — საქართველო ამჟამად დემოკრატიული გარდაქმნების ეპოქაში იმყოფება, რაც სხვა აღმოსავლეთევროპული ზოგიერთი ქვეყნისათვის შესაშურიც კი არის. პოლიტიკურმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებსა და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. ქვეყნის მართვის პროცესში ზოგიერთი შეფერხების („მიღებული კოპების“) მიუხედავად, „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს ეფექტური ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად. წინასაარჩევნო პროცესი საქართველოში მეტ-ნაკლებად მშვიდად მიდის. (ამ დღეებში „ქართულმა ოცნებამ“ 2016 წლის არჩევნებშიც გაიმარჯვა. რედ.) ეს პატარა, მაგრამ ამაყი ქვეყნის დიდი გამარჯვებაა.

მესამე — საქართველო საბაზრო ეკონომიკას ავითარებს: თბილისი ამჟამად ბაზრის კიდევ უფრო მეტი ლიბერალიზებისთვის გამიზნული რეფორმების რეალიზებას ახდენს, რაც ხელს უწყობს სამსახურების საქმიანობის ხარისხის ამაღლებას ენერგობაზრების კონკურენციაში, უკეთესი სტანდარტების შემოღებას — ევროკავშირთან (ასოცირების)შეთანხმების შედეგად. როგორც პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, „ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიული, უმნიშვნელოვანესი ნაწილი ხდება“.

ქართველები ცდილობენ, რომ დასავლეთისთვის მათ ქვეყანას უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდეთ, ვიდრე უბრალო პარტნიორისა. საქართველო, დიქტატორების გარემოცვაში მყოფი ქვეყანა, აშშ-ის დემოკრატიული მოკავშირეა. ჰოდა, თუ მხედველობაში მივიღებთ დღეს არსებულ სიტუაციას, საქართველო ნამდვილად იმსახურებს აშშ-ის გარანტიებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ნატოში რაც შეიძლება სწრაფ გაწევრიანებას.

მოკლედ, შეერთებული შტატების მომავალმა ადმინისტრაციამ ამერიკელთა მეგობრების (ანუ საქართველოს) უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში თანამშრომლობა უნდა გააუმჯობესოს. თბილისი ვაშინგტონისათვის მეგობარია და მას სურს, რომ აშშ-ის მომავალ მთავრობას საქართველოსთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეს. ის ფაქტი, რომ რუსეთი ექსპანსიონისტურ პოლიტიკას ახორციელებს და ენერგეტიკას საგარეო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებს, კვლავ დიდ პრობლემად რჩება. შესაბამისად, საქართველო თავის დასავლელ მოკავშირეებს თავდაცვის საკითხში დახმარებას სთხოვს.

ქართველები ცდილობენ, რომ დასავლეთისთვის მათ ქვეყანას უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, ვიდრე უბრალო პარტნიორისა. საქართველო, დიქტატორების გარემოცვაში მყოფი ქვეყანა, აშშ-ის დემოკრატიული მოკავშირეა. ჰოდა, თუ მხედველობაში მივიღებთ დღეს არსებულ სიტუაციას, საქართველო ნამდვილად იმსახურებს აშშ-ის გარანტიებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ნატოში რაც შეიძლება სწრაფ გაწევრიანებას.

თეოდორ კარასიკი,
აშშ-ის ლექსინგტონის უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, უსაფრთხოების საკითხების ექსპერტი.

როცა წარსულიც და მომავალიც ერთნაირად მტკივნეულია

მოსაზრებები სენაკში კირქვის მოპოვებასა და ცემენტის ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით

უნიკალური სამშენებლო მასალით — კირქვის მარაგით გამოირჩევა მთა, რომელიც სენაკის რაიონიდან იწყება და ხობის ჩათვლით თითქმის ზუგდიდამდე აღწევს. დიდი ხანია, ცნობილია ამ უნიკალური სამშენებლო მასალის არსებობის შესახებ, მაგრამ გასულ საუკუნეებში ტექნიკისა და სათანადო ქარხნის უქონლობის გამო ბუნების ამ საჩუქრის სრულად გამოყენება ვერ მოხერხდა. მხოლოდ კომუნისტების მმართველობის ჟამს ამოქმედდა კირის გამოსაწვავი საამქრო, რომელიც დიდი წარმატებით მუშაობდა, და თუ დღეს სენაკსა და მის მიმდებარე რაიონებში ერთ-ორსართულიანი სახლები კოპწიაობენ, სწორედ მისი „დამსახურებაა“.

მახსოვს, სენაკის კირის საამქროს ბუნკერებიდან, რომელთაც არანაირი დამცავი მექანიზმი არ ჰქონდა, ამონაბოლქვი ბოლით მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები თუ ხეები ზამთარ-ზაფხულ ნაცრისფრად იყო „შემოსილი“, დიასახლისები სარეცხს გარეთ ვეღარ ფენდნენ.

როცა ცემენტის შემოტანა გახშირდა რაიონში, კირის წარმოებაც შეწყდა. თუმცა კირქვიანი მთის ლოდებს ამუშავებდნენ, უმეტესწილ გაბიონებისა და შუკა-შარების მოსაზვინად. ასე იყო ადრეც და დღესაც ასეა.

ამჟამად როცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ქართული სამშენებლო მასალების კომპანია “ სენაკის მუნიციპალიტეტის კოტიანეთის მონაკვეთში იწყებს მთის მოჭრას და მას ნოსირში ასაშენებელი ცემენტის ქარხნისთვის გამოიყენებენო, მოსახლეობა ერთგვაროვნად არ შეხვდა ამ ცნობას. ეს არცაა გასაკვირი.

ქარხნის აშენებას ჩინური „ჰუალინგ ჯგუფი“ აზია-აფრიკის მენეჯმენტის საშუალებით 100-მილიონიანი ინვესტიციის ხარჯზე აპირებს. იგი მილიონ 400 ათას ტონამდე პროდუქციას ამზადებს. ფაქტობრივად გამოდის, რომ სოფელ კოტიანეთში, სადაც „ქართულმა სამშენებლო კომპანიამ“ კირქვა უნდა მოიპოვოს, უზარმაზარი რაოდენობის მთის მასა უნდა მოიჭრას. სიახლოვეს კი სამი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, მათ შორის ჩვენი წარსულის სიამაყე — „არქეოპოლისი“, ანუ იგივე ციხე-გოჯის უნიკალური ნაგებობა, რომელსაც წლის განმავლობაში ათასობით მნახველი სტუმრობს.

ადგილობრივები შიშობენ, რომ კირქვის მოპოვება, საფრთხე არ შეუქმნას არა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, არამედ მათს ჯანმრთელობას. ეს მართლაც დასაფიქრებელია, თუ გავითვალისწინებთ კასპის რაიონის მაგალითს. ადგილობრივები იმასაც ამბობენ, რომ „ჰუალინგი“ ჩინელებს ჩამოიყვანს და ძირითადად მათ დაასაქმებს. რაც შეეხება გამონაბოლქვისგან დამცავ საშუალებას, ის რაც უნდა უნიკალური იყოს, მწყობრიდან მალე გამოდის და მისი შეცვლა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებულიო, ქარი რომ დაუბერავს სენაკი გაეხვევა მტვრის კორიანტელში, ზღვაურის დროს, აბაშაცო.

ნოსირში მოამზადებენ სხვადასხვა ხარისხის ცემენტს, მათ შორის ზღვის ცემენტს და წარმოებული პროდუქციის სამოც პროცენტს საზღვარგარეთ გაიტანენ. ეს კი ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა. შავი ზღვის აუზის ქვეყნებში ცემენტის ძირითადი ექსპორტიორი დღეს თურქეთი ყოფილა, რომელსაც ახლა შეზღუდვები აქვს ბევრ მეზობელ ქვეყანასთან, საქართველოს კი არა, ამიტომ სენაკის მუნიციპალიტეტის საშენი მასალა ორმაგად მომგებიანი იქნება.

დიახ, მომგებიანია სახელმწიფოსა და იმ კომპანიებისთვის, რომლებიც აქ ბიზნესს განახორციელებენ, მაგრამ მოსახლეობისთვის?

მოსახლეობის დამოკიდებულება, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არაერთგვაროვანია. ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ეკოლოგიური თვალსაზრისით კირის კარიერი და ცემენტის ქარხანა საფრთხეს შეუქმნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და საზიანო იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობისთვისაც. მისმა ერთმა ნაწილმა წერილობით უკვე მიმართა პრემიერ-მინისტრს, მშენებლობა არ დაიწყოს მანამ, სანამ სპეციალური კომისია არ დადებს საფუძვლიან დასკვნას ზემოხსენებული სამშენებლო ქარხნის უსაფრთხოების შესახებ.

მოსახლეობის მეორე ნაწილი კი აცხადებს, რომ სენაკი დღეს „მკვდარი“ ქალაქია. დემურ გადელიას საწარმოს, თხილისა

ბელი თანამედროვე ქარხანა შეიქმნებაო, მაგრამ რომელიღაც რაიონში გადაიტანეს და სენაკი გალოკილი თითივით დარჩა...

ასევე იყო შეპირება, რომ რუსული საავიაციო სამხედრო ბაზის ორი ასაფრენ- დასაფრენი ბილიკი, რომელიც კავკასიაში უანალოგოა, „რუსების“ წასვლის შემდეგ, მძიმეწონიანი საჰაერო სატრანსპორტო აეროპორტად გადაკეთდებოდა. ჩაერივნენ მავანნი და აეროპორტის მშენებლობა ზუგდიდში გადაიტანეს, იქ კი მიწის გრუნტი შესაფერისი ვერ გამოდგა და...დღეს უნიკალური, ბეტონიზებული, ორზოლიანი, მსოფლიოში ყველაზე მძიმეწონიანი თვითმფრინავების მისაღებად გამოსადეგ ბილიკებს სარეველა მოდებია და ძროხებისა და ღორების სათარეშოდა ქცეულა.

მეტს არ გავაგრძელებ. ამბობენ, რომ იმიტომ ატეხეს ამდენი აურზაური სენაკში ცემენტის ქარხნის მშენებლობაზე, რომ „ბნელ ძალებს“ მისი სხვაგან გადატანა სურთო. ეს ეჭვი მუსირებს რაიონში და შეუძლებელია არ გაიზიარო, რადგან რაც დაიგეგმა, ყველაფერი სხვაგან გადაამისამართეს.

არადა, რაიონის ეკონომიკური სიდუხჭირიდან გამოსაყვანი საშუალებები არსებობს, გვაქვს კამკამა წყალი, გაშენებულია ჩაი, ეს კირქვიანი მთა თითქოს თვალებში შემოგციცინებს, გვევედრება, ხალხო, დაიკაპიწეთ მკლავები, მოიმარჯვეთ წერაქვი და გამომიყენეთო. ჩვენ კი ამ სიმდიდრის გამოსაყენებლად არაფერს ვაკეთებთ.

დღეს სიცოცხლის გადარჩენის ჟამია, მომავალ თაობასა და ჩვენს შორის ჩანგრეული ხიდის როგორმე აღდგენის დრო. სიცოცხლის ფასად უნდა მოხერხდეს ორსაუკუნოვანი ქალაქის მოსახლეობის გადარჩენა. ოცდაათიოდე წლის წინათ 33 000-იანი ქალაქი და 56-ათასიანი რაიონის მოსახლეობა განახევრებულია. არსებობს საშიშროება, რაოდენობამ კიდევ უფრო იკლოს. ამიტომ ზოგიერთი მიიჩნევს, მტვერში ჩახრჩობა უკეთესია, ვიდრე გადაშენება, შიმშილით სიკვდილს, დაბინძურებული ჰაერისაგან თანდათან ფეხის გაფშეკა სჯობსო...

არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი, რომელთა პოზიცია გავიზიარო, მე ორივე მტკივა. წარსულიც და მომავალიც.

არ შემეძლო, ეს გულისტკივილი არ მიმეტანა იმათთან, ვინც აცხადებს, რომ სენაკის მოსახლეობას არც აინტერესებს, რაც ხდება მის თავს. გაითვალისწინეთ, ბატონებო, ურაპატრიოტიზმი საქმეს არ წაადგება. კულტურული მემკვიდრეობა ჩვენი განძია, მისი დაცვა სხვაზე ნაკლებ არ გვაფიქრებს. ვიცით ისიც, რომ ცემენტის ქარხნიდან ას მეტრში ხორბლის გადამმუშავებელი ქარხანაა. ერთნახევარ კილომეტრში (ყოფილი სასელექციო სადგურის ბაზაზე) შეიქმნა სასოფლო სამეურნეო-პროდუქტების მწარმოებელი და საშრობი საწარმო, რომელიც 107 ჰექტარ მიწაზეა გაშენებული და უკვე დათესილი აქვთ სოია, შვრია, ჩვეულებრივი და ჰიბრიდული სიმინდი და კარგ მოსავალს ელიან. შენდება ორი საშრობი, სადაც მოწეულ პროდუქტებს გადაამუშავებენ... არ მინდა, წარმოვიდგინო, რა მოუვა ამ საწარმოებს, თუ ცემენტის ქარხნიდან მხრჩოლავი ბოლი ამოიფრქვევა.

მავანნი რომ ამბობენ, ცემენტის ქარხნის მშენებლობისა და კოტიანეთის კარიერის ამოქმედების უკან დემურ გადელია დგასო, შემიძლია, დარწმუნებით ვთქვა, რომ დემურ გადელია არასდროს წავა მოსახლეობის ნების წინააღმდეგ, ის გულმხურვალე ბიზმესმენია, რომელსაც საკუთარი ხელწერა აქვს და მოსახლეობისადმი თავისი დამოკიდებულებით მისაბაძია. მან კირის კარიერი კარგა ხანია დახურა და ერთადერთია, ვინც, როგორც იტყვიან, „კბილებით“ შეინარჩუნა საწარმო, სადაც ასობით ადამიანი საქმიანობს. თუ რამე კეთდება და კეთილეწყობა რაიონში, მისი წყალობით კეთდება. ეხმარება უამრავ ადამიანს, იგი გაჭირვების ტალკვესია .

და ბოლოს, იმედი მრჩება, რომ ხელისუფლება არ გადადგამს მოსახლეობისთვის საზიანო ნაბიჯს.

ბორის დავითაია,
სენაკი

ინფორმაცია

ირაკლი ალასანია პოლიტიკიდან მიდის

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია გორში არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას აღარ მიიღებს.

„თავისუფალი დემოკრატები“ არჩევნების შედეგებს აღიარებს და პარტიის რეორგანიზაციას იწყებს. მისი თქმით, ბრძოლას ადგილობრივ არჩევნებზე გააგრძელებენ.

„შედეგი, რომელიც დავინახეთ, ჩვენთვის არის მოცემულობა, ჩვენ გვაქვს დიდი გეგმები, რომლის რეალიზაცია ჩვენს ქვეყანას თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაიყვანდა, მაგრამ ამ მოცემულობაში, რომელიც დაიდო, ამის განხორციელების საშუალება არ გვეძლევა. გასააზრებელია, რატომ მივიღეთ ასეთი შედეგი, ამას აქვს თავის მიზეზები, რომელსაც კრიტიკულად უნდა მივუდგეთ და დავიწყოთ პარტიის რეორგანიზაცია“ — განაცხადა ალასანიამ.

* * *

ცესკო-ს სპიკერის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ირაკლი ალასანია არჩევნების მეორე ტურში არ მიიღებს მონაწილეობას, მისი მონაცემები ბიულეტენში მაინც იქნება შეტანილი.

„არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას იღებენ 2 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატები. მოგეხსენებათ, 50%-იანი ბარიერია და მეორე ტურში მონაწილეობას მიიღებს ის 2 კანდიდატი, რომლებსაც საუკეთესო შედეგი აქვთ. თუ რომელიმე კანდიდატი არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, მისი მონაცემები კანონმდებლის თანახმად ბიულეტენში მაინც იქნება მოცემული“, — განაცხადა ანა მიქელაძემ.

გუკა პეტრიაშვილი პოლიტიკიდან წავიდა

„მოგესალმებით მეგობრებო! პირველში მადლობას ვუხდი ყველა თავისუფალ დემოკრატს და ყველა ადამიანს, ვინც მხარს მიჭერდა და მაძლიერებდა ამ ხნის განმავლობაში. ჩვენ ერთად ვიბრძოდით უკეთესი, ევროპული საქართველოსთვის! ქვეყანაზე ზრუნვას აუცილებლად განვაგრძობ, ოღონდ სხვა რანგში და სხვა დარგში! დღეიდან აღარ ვარ პარტიული და სულ ცოტა ხნით ვიქნები... სახლში (ხვდებით ალბათ ვისი ხმითაც ვიტყოდი ამას), აბა დროებით! პატივისცემით, უპარტიო ალექსი პეტრიაშვილი!“ — წერს გუკა პეტრიაშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერფზე.

◎ ახალი რომანი

ორიგინალური, მისტიკური ხედვა სიყვარულსა და ბედნიერებაზე

რა არის ბედნიერება?

მსოფლიოში რამდენი ადამიანიც არსებობს, ყველას თავისი ლოგიკური განმარტება აქვს ამ სიტყვისა და პასუხი ამ მარადიულ კითხვაზე. ამიტომ, ჯობს, ნურავის დაუსვამთ ასეთ შეკითხვას, რათა გაწბილებული არ დარჩეთ, ისე, თუ გაინტერესებთ ჟურნალისტი გია გაბრიჭიძის აზრი ბედნიერების შესახებ, მაშინ ბოლომდე უნდა წაიკითხოთ მისი ახალი, მისტიკური რომანი „ღვთაებრივი დრამა“.

* * *

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ვიზიტიორთა კლუბში გია გაბრიჭიძის რომანის „ღვთაებრივი დრამის“ წარდგინება გაიმართა. სასიხარულო იყო ის ფაქტიც, რომ ავტორმა თავის დაბადების დღეს დაამთხვია მისივე პირველი წიგნის გამოცემა. გია პოპულარული პიროვნებაა არა მარტო ჟურნალისტთა საძმოში, არამედ თავისი ცხოვრების წესითა და მრწამსით თბილისშიც. ამიტომაც ამ საღამოს უამრავი ადამიანი დაესწრო. წიგნის შესახებ ისაუბრა გამომცემლობა „აზრის“ დირექტორმა, ბატონმა **მამუკა ხანთაძემ**.

ბედნიერება სიყვარულია!

ბედნიერი ხარ, როდესაც გიყვარს, თუნდაც პირიქით. გიყვარს? — მაშ ბედნიერი ყოფილხარ!

ამ ბედნიერების საძებნელად ავტორი რომანის გმირებს მფარველი ანგელოზივით დაჰყვება მთელს უძველეს ცივილიზებულ სამყაროსა თუ „თავის თავში ჩაკეტილ“ აღმოსავლეთში, დაჰყვება იქ, სადაც რომანის გმირებს სურთ, მოძებნონ ბედნიერება, სიყვარულთან ნაზავი მიუწვდომელი გრძნობა. მათთვის დროსა და სივრცეს არა აქვს საზღვარი, არც წინააღმდეგობებს.

სწორედ ამითაა დამაინტრიგებელი მისტიკური და ამოუცნობი მათი მოგზაურობა დროსა და სივრცეში.

საბოლოოდ ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ როგორც „სიყვარულს უნდა მალვა“, ასევე ბედნიერებასაც, რადგან თავად სიყვარულია ბედნიერება.

* * *

რამდენიმე სიტყვა რომანის ავტორის შესახებ. გია გაბრიჭიძე, ნიჭიერი ფიზიკოსი, რომელსაც ბედნიერება ხვდა წილად, სრულიად ახალგაზრდას ესწავლა და ემუშავა ლენინგრადში, ახლანდელ სანკტ-პეტერბურგში, იოფეს სახელობის ფიზიკის ტექნიკურ ინსტიტუტში ისეთ ცნობილ პიროვნებებთან, როგორიც მსოფლიოში აღიარებული ნობელიანტი ფიზიკოსის ჟორეს ალფიოროვის გუნდია. იგი წლების შემდეგ მოულოდნელად ყველასთვის გასაოცარ გადაწყვეტილებას იღებს და ჟურნალისტიკაში გადადის. გია ტელეწამყვანი და შესანიშნავი პუბლიცისტია, სერგეი მესხის პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

თავად ავტორი ორიოდ სიტყვით:

— თითიც არ დამიკარებია, ისეთივე დავტოვე როგორც იმ დროს, ჩემს ახალგაზრდობაში დავწერე. არადა, რომანს ყოველთვის უნდა მიუბრუნდე, როგორც იტყვიან, ხელი შეახო, განაახლო, მაგრამ მე მსურდა ის აზრები დამეტოვებინა, რითაც მაშინ ვსუნთქავდი, რაც მაფიქრებდა და მჯეროდა. რომანის გმირები თავიანთ მიკროსამყაროში იკეტებიან, ეგოისტურად იხვევენ შეუმჩნეველ გარსს ყველასგან დასაცავად, რადგან ხელშეუხებელი და მარადიული იყოს მათი სიყვარული. თითქოსდა, ერთის შეხედვით, ეგოისტურადაც კი ჟღერს, არავის გადასცე, არავის გაუნაწილო შენი ბედნიერება, მხოლოდ შენ დატკბე მოპოვებულით, რომლისთვისაც ასე თავგამოდებით იბრძვი. განერიდო ყველასა და ყველაფერს.



— ალბათ ამის გამოა მათი გადასვლა უტოპიურ, უკაცრიელ კუნძულზე, რადგან განერიდონ საზოგადოებას. მცდელობა ამისა, ორიგინალური ხერხითაა აღწერილი, შენი უსაზღვრო ფანტაზიითა და მისტიკური ხილვებით. შეიცვალა მწერლის მსოფლმხედველობა, თქვენი დამოკიდებულება იმ მარადიული კითხვის მიმართ პასუხზე — რა არის ბედნიერება? შეაცვლევინა მწერალს ამ ათეულმა წელმა, ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ, აღმასვლამ და ცხოვრებისადმი გულგატეხილობამ, თავიდანვე ჩამოყალიბებული პასუხი კითხვაზე?

— გეტყვით, რომ... ისე რომანის წაკითხვა სჯობს. პასუხს იქ იპოვით.

* * *

მაშინ ბოლომდე ჩაიკითხეთ ეს რომანი ავტორის თვალით, ავტორისეული სტილითა და მისი მსოფლმხედველობით და შემდეგ გაამართლეთ, ან გაამტყუნეთ რომანის გმირთა არჩევანი.

მამუკა ვაშაკიძე

◎ ადამიანი დროში

სულში ჭაღარა არა ჩნდება

აგვისტოს მზემ თავისი მცხუნვარე სხივები გამოუგზავნა ქალაქს. რუხი მაღალი კლდის ძირას გაჩეხილი ტყის ადგილზე აშენებულ კორპუსებს მიუალერსა და სივრცეში გაიფანტა. თითქოს გამოფხიზლდა ქვის ქალაქი, მაგრამ ბინებში შეყუჟული ხალხი გარეთ გამოსვლას ერიდებოდა და კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდნენ ქუჩაში.

მზე ცეცხლივით წაჰკიდებოდა ზეცას, ნიავი არ იძროდა და სუნთქვა ჭირდა. თითქოს ჩუმად კვნესოდა ქვის ქალაქი... წვიმას ნატრობდა... ცაში ღრუბლების ნაფლეთიც გამქრალიყო. ჩიტების ჭიკჭიკიც აღარ ისმოდა — ისინიც კი გარიდებოდნენ ქალაქს.

როგორ ენატრება ქალაქს მოშრიალე ხეები და ფოთლების შრიალი, განთიადის ნისლი და ყვავილების სუნთქვა.

დასახლებულ უბანს სიმწვანე მხოლოდ ერთგან ამშვენებს. მშრომელ კაცს კლდეზე ნამდვილი სამოთხის ბაღი გაუშენებია. ეს ბატონ გურამ გუნავას სახლ-კარია. წარმოშობით ზუგდიდელს, ბუნების გარეშე არ შეუძლია. ძლიერია მასში მშობლიური მიწის სიყვარული და ეს მის ბაღნარს ნამდვილად ეტყობა.

ახლა მის ეზოში მხიარული შემოდგომაა. ხის ტოტებს ნაყოფის სიმძიმისაგან ტოტები დაბლა დასწევიათ. ჰაერში სასიამოვნო სურნელი ტრიალებს. მიწას მწვანე ქათიბი ამშვენებს, რომელზეც ალაგ-ალაგ მინდვრის ყვავილები გაბნეულა. მხრები ამაყად გაუშლია უზარმაზარ კაკლის ხეს, თითქოს გუშაგად დასდგომია მთელ ეზოს.

ბატონმა გურამმა თავისი შრომით გაიკვლია ცხოვრების აღმართ-დაღმართები. სრულიად ახალგაზრდა ჩაება ქვეყნის სამსახურში. ჯერ ენგურჰესის, შემდეგ ლენტეხის, აბაშის და ზუგდიდის რაიკომის მდივნად იმუშავა. მან ყველგან აღმშენებლის სახელი დაიმკვიდრა. უამრავ ქვეყანაში იმოგზაურა, სადაც საქართველოს სახეს წარმოადგენდა. მიღებული აქვს მთავრობისგან სიგელები, მადლობები, მედლები. ის ყველგან უყვართ და პატივს სცემენ. ბატონ გურამს საზოგადოება იცნობს როგორც ღირსეულ მამას, მეუღლეს და ბაბუას, ჩინებულ ორგანიზატორს, ლიდერს, ქველმოქმედს, კეთილსინდისიერ და სიტყვის კაცს. მას არ ასვენებს ხვალინდელ დღეზე ფიქრი. 75 წელს გადაცილებულს, თმაში ვერცხლშერეულს საოცარი სიცოცხლის სიყვარული და ენერგია მიმადლა ბუნებამ. იგი ზღვასავით ბობოქარი და დაუდგრომელია. როგორც ყოველთვის, ხალხის უკეთესი მომავლისთვის იღვწის.

ვუყურებ ამ ადამიანს და ვრწმუნდები, რომ სული არასოდეს ბერდება. ადამიანის სულში არ ჩნდება ჭაღარა.

ემა ძანძავა

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნინო ბურჯანაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: **ნინო ბურჯანაძე (პ/ნ 01019021356), თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №12ა, კორპ. 3, ბინა №9.**

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №12ა, კორპ. 3, ბინა №9 (საკადასტრო კოდი: 01.12.08.021.005.01.009).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: **უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.**

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 25241.27 ლარი;**
3. **აუქციონის დაწყების თარიღი: 2016 წლის 11 ოქტომბერი, 12:00 საათი.**
4. **აუქციონის დასრულების თარიღი: 2016 წლის 24 ოქტომბერი, 15:00 საათი.**
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.**

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: **განაცხადის №71271HZP35533416; აუქციონის ნომერი: 71271, ლოტის ნომერი: 355334**

6. მოვალე: **ნათია ბურჯანაძე (პ/ნ 01019017378), თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №12ა, კორპ. 3, ბინა №9;**
ნინო ბურჯანაძე (პ/ნ 01019021356), თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №12ა, კორპ. 3, ბინა №9.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.**

8. **აუქციონის პირობები:**

- **აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;**
- **მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;**
- **აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს "ვითიბი ბანკი ჯორჯია“.**
- **აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს "ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს "თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.**

9. **აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP35533416; ლოტის ნომერი: 355334).**

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 21 ოქტომბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ საერთაშორისო დამკვირვებლები არჩევნებს დადებითად აფასებენ

ორი „ჩრდილოვანი“ მამაკაცის დუელი

რას წერს გერმანული გამოცემა „SUDDEUTSCHE ZEITUNG“

გერმანული გამოცემის „Suddeutsche Zeitung“-ის სტატიაში გადმოცემულია საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების წინასწარი შედეგები, არჩევნებში მონაწილე პარტიების რეაგირება ცესკოს მიერ გამოცხადებულ წინასწარ შედეგებზე (განსაკუთრებით, „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან), საერთაშორისო დამკვირვებელთა ზოგადი შთაბეჭდელება არჩევნების მიმართ და მათი შეფასებები (ავტორი — ჯულიან ჰანსი).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის მიმოხილვას:

„ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით, საპარლამენტო არჩევნებში მმართველმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა (48,6%), თუმცა მიხეილ სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობა“ (27,14%) არჩევნების შედეგებს ეჭვქვეშ აყენებს. სავარაუდოდ, პარლამენტში კიდევ ერთი პარტია — „პატრიოტთა ალიანსი“ იქნება, რომელიც, როგორც ჩანს, 5%-იან ბარიერს გადალახავს. მიუხედავად აშკარა უპირატესობისა, „ქართული ოცნება“ საკანონმდებლო ორგანოში მტკიცე უმრავლესობას, ალბათ, რამდენიმე კვირის შემდეგ მოიპოვებს, როცა მაჟორიტარულ ოლქებში არჩევნების მეორე ტური ჩატარდება“, — აღნიშნულია სტატიაში.

საერთაშორისო დამკვირვებლები არჩევნების პროცესს, ცალკეული ექსცესებისა და ინციდენტების მიუხედავად, მეტნაკლებად ნორმალურად მიიჩნევენ: ასეთი თვალსაზრისი აქვს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და ეუთოს საადამკვირვებლო მისიას, რომელთა პოზიციის მიხედვით, არჩევნების ყველა სუბიექტს ჰქონდა უზრუნველყოფილი მასმედიით სარგებლობა საკუთარი პროგრამის წარმოჩენის შესაძლებლობა.

მართალია, წინასაარჩევნო კამპანიის დროს „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ თავშეკავებულად მოქმედებდნენ, სინამდვილეში ისინი ერთმანეთთან შეურიგებელი ბანაკებია. არადა, ორივე პარტიას პროდასავლური ორიენტაცია აქვთ, ორივეს სურს, რომ საქართველო ნატოსა და ევროკავშირში გაწევრდეს. შარშან მთავრობამ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას. ბრიუსელი თბილისს ჰპირდება, რომ წლის ბოლომდე საქართველო უვიზო რეჟიმს მიიღებს. რაც შეეხება ნატოში გაწევრებას, ამ შემთხვევაში ყველაზე დიდ პრობლემად რუსეთის პოზიცია ითვლება, რომელიც საქართველოს ალიანსთან ინტეგრაციას ეწინააღმდეგება. 2008 წლის აგვისტოში მომხდარი ხუთდღიანი ომის შემდეგ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის ნაწილები — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. ორივე „რესპუბლიკაში“ პრორუსული ხელმძღვანელობაა და მოსახლეობის უმეტესობა რუსულ პასპორტებს ფლობს. ცნობილია, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თავის რიგებში ისეთ ქვეყნებს არ ღებულობს, რომლებსაც მეზობელ სახელმწიფოებთან სასაზღვრო-ტერიტორიული პრობლემები აქვთ.

„ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის დაძაბულ ურთიერთობას პირადული ფაქტორებიც განსაზღვრავს: შაბათს ჩატარებული არჩევნების უკან ორი მამაკაცი იდგა, რომლებიც თავიანთ პარტიებს აკონტროლებდნენ: ერთი - საქართველოს ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ხელისუფლებაში „ვარდების რევოლუციით“ მოვიდა და ამჟამად უკრაინის ოდესის ოლქის გუბერნატორია და მეორე — მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც თავისი სიმდიდრე რუსეთში დააგროვა, 2012 წელს პარტია „ქართული ოცნება“ შექმნა და მიხეილ სააკაშვილის „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლება დაამხო. იგი მცირე ხანს იყო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, შემდეგ კი გადადგა, თუმცა, როგორც ამბობენ, მთავრობის საქმიანობას მაინც აკონტროლებს. „ქართული ოცნება“ პროდასავლურ კურსს აგრძელებს, მაგრამ მოსკოვის მიმართ აგრესიულ განცხადებებს თავს არიდებს. მართალია, რუსეთმა საქართველოს ღვინოსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ადრე გამოცხადებული ემბარგო მოუხსნა, მაგრამ ქვეყანა მაინც მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას: სსრ კავშირის დაშლის შემდეგ შავიზღვისპირა რესპუბლიკამ თითქმის მთელი თავისი მრეწველობა დაკარგა. ქვეყნის ოთხმილიონიანი მოსახლეობიდან ყოველი მეორე მცხოვრები უმუშევარია“, — წერს ავტორი.

მიხეილ სააკაშვილის მიმართ საქართველოში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად სარგებლობის გამო. პატიმრობა რომ თავიდან აეცილებინა, იგი საქართველოდან უცხოეთში წავიდა და უკრაინული „მაიდნის“ შემდეგ თავისი ახალი პოლიტიკური კარიერა ამ ქვეყანაში დაიწყო. ორივე — მიხეილ სააკაშვილიც და ბიძინა ივანიშვილიც საკუთარ პარტიებს დამარწმუნებელ გამარჯვებებს უწინასწარმეტყველებდა. ფაქტია, რომ მიხეილ სააკაშვილი შეცდა. არადა, მას სამშობლოში დაბრუნება სურდა, მაგრამ ახლა მისი მიზანი განუხორციელებელი რჩება, — ასეთი „სევდიანი“ დასასრული აქვს გერმანულ გაზეთ „ზიუდდოიჩე ცაიტუნგში“ გამოქვეყნებულ სტატიას.

◎ წყალი — მეორე ოქრო

რა ხდება და რის გამო შეიძლება დაიწყოს კონფლიქტი ცენტრალურ აზიაში?

ცენტრალურ აზიაში რეგიონის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემის მოწესრიგების მცდელობა შეინიშნება: ეს არის წყლის რესურსები. თუმცა, ჯერ ორმხრივი თანხმობის დაწყებაზეა საუბარი ყაზახეთსა და ყირგიზეთს შორის. მაგრამ თუ უახლოეს დროში ვერ მოხერდება ხუთი ქვეყნის (ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი) მოლაპარაკების ერთ მაგიდასთან შეკრება და წყალზე კონსესუსის მიღწევა საკუთარი რეგიონების ჩარჩოებში, მაშინ გამორიცხული არ არის, რომ ცენტრალურ აზიაში ამის გამო კონფლიქტი დაიწყოს.

ცენტრალური აზია მთელ მსოფლიოში წყლის რესურსის მიხედვით ერთ-ერთი დეფიციტური რეგიონია. ამასთან, ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში წყლის რესურსი ძალიან არათანაბრად არის განაწილებული. ორი სახელმწიფო — ყირგიზეთი და ტაჯიკეთი, რომლებიც მდინარეების ზედა დინებასთან იმყოფებიან, ჭარბწყლიანებად ითვლებიან, უზბეკეთი, თურქმენეთი და ყაზახეთი კი — წყლის რესურსების ძირითად მომხმარებლებად. მაგრამ ყირგიზეთი და ტაჯიკეთი, ამასთანავე ენერგოდეფიციტურ ქვეყნებადაც ითვლებიან.

სსრკ-ის დროს წლის და ენერგიის გადანაწილების ასეთი სქემა იყო დაწესებული: ზედა ქვეყნები იღებდნენ იმ ენერგიას, რომელიც მათ არ ჰყოფნიდათ, ხოლო ქვედა — წყალს. სქემა მარტივი იყო: ტაჯიკეთი და ყირგიზეთი ზამთარში წყალს თავიანთ წყალსაცავებში, ნურეკის, ყარაყუმის და ტოკტოგულის ჰესებში აგროვებდნენ, ზაფხულში კი წყალს უგდებდნენ უზბეკეთის, ყაზახეთის და თურქმენეთის მოსახნავ მიწებს. ამის სანაცვლოდ ზამთარში ტაჯიკეთის და ყირგიზეთის რესპუბლიკაში შედიოდა ელექტროენერგია და გაზი.

თუმცა, ასეთი ბარტერული გაცვლის სისტემა განადგურდა სსრკ-ის დაშლასთან ერთად. ქვეყნები გადავიდნენ საბაზრო ურთიერთობებზე. და აქ ყირგიზეთი და ტაჯიკეთი წინასწარ აღმოჩნდნენ არათანაბარ პირობებში, რადგან თუ ისინი ელექტროენერგიას ფულით ყიდულობდნენ, ისინი ვალდებულნი იყვნენ, წყალი სრულიად უფასოდ მიეწოდებინათ.

სრულიად ნათელია, რომ ტაჯიკეთის და ყირგიზეთის რეაქცია გახდა სწრაფვა უზრუნველეყოთ საკუთარი ენერგოუსაფრთხოება ტაჯიკეთში როგუნის (მდ. ვახშზე) და დასტიჯუმის (მდ. პიანჯზე), ყირგიზეთში კი კამბარატინსკის (მდ. ნარინზე) წყალსაცავების შენების გზით. ამან, რა თქმა უნდა, წყლის ძირითადი მომხმარებლის — უზბეკეთის პროტესტი გამოიწვია. ტაშკენტი სერიოზულად შიშობდა, რომ კამბარატინსკის და როგუნის პროექტები დაარღვევდნენ საერთაშორისო სამართალს და წყლის წვდომის შემცირების მიზეზი გახდებოდა, რაც მიაყენებდა მნიშვნელოვან ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ზიანს. ეკოლოგიურად ზიანის მომტანი, უწინარესად, არის უზბეკეთის მიერ არალის ზღვისთვის წყლის ისედაც ძალიან მცირე ოდენობით მიწოდების უფრო შემცირება, ეკონომიკურად კი ის არის, რომ უზბეკეთი დაკარგავს ქვეყნის ძირითადი კულტურის — ბამბის მოყვანის გაზრდის შესაძლებლობას. თუმცა, ასევე, არსებობს კიდევ ერთი ვერსია — წყალსაცავები, რომლებიც აშენდა ყირგიზეთში და განსაკუთრებით ტაჯიკეთში, დაიწყებენ კონკურენციას უზბეკეთის ელექტროენერგიის ექსპორტზე სამხრეთ აზიის ენერგობაზარზე.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მთელი თავისი აღშფოთების მიუხედავად, ტაშკენტი არ აპირებს, მიუჯდეს მოლაპარაკების მაგიდას და ურთიერთმისაღები ინტერესის ბალანსის პოვნას.

თუმცა, თუ დღეს რეგიონში მიმდინარეობს მოლაპარაკება, მაშინ ის სახელმწიფოებს შორის ორმხრივ საფუძველზეა დამყარებული. თუმცა ყველა მხარე ხვდება, რომ გონივრული სქემის მისაღწევად საჭიროა მოლაპარაკების მაგიდასთან ყოველი წევრის მისხდომა. ანუ ცენტრალური აზიის რესპუბლიკების ხუთეულისა.

არის ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსიც: წყლის გამოყენების ხარისხი რეგიონში. მდინარეების ქვედა დინების წყლის დეფიციტის პრობლემა. ქვეყნები სრულიად გაუთვითცნობიერებლად იყენებენ წყალს. ცენტრალური აზიის სახელმწიფოები იყენებენ მეტ წყალს ერთ სულ მოსახლეზე, ვიდრე პლანეტის ნებისმიერი სხვა რეგიონის მოსახლეობა. თურქმენეთი და უზბეკეთი ორჯერ მეტ წყალს იყენებენ, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები. 700-ათასიანი აშხაბადის მოსახლეობა წყლის მოხმარების მაჩვენებლით შეიძლება შევუდაროთ ჩიკაგოს მაჩვენებელს, სადაც 3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

უფრო ჭკვიანურად იყენებს წყალს ყაზახეთი (ის იმყოფება „წყლის გზის ბოლოს“ და ვალდებულია, როგორც აქ ამბობენ, ეკონომიურად ხარჯოს თითოეული წვეთი). თუმცა უზბეკეთი ყოველდღიურად ამცირებს წყლის ნაკადს სირდარიაზე, ყაზახეთმა მიაღწია თავისი ჩრდილოეთი ნაწილის აღდგენას არალის ზღვაში. ამის გარდა, ყაზახეთმა მოახერა ყირგიზეთთან მოლაპარაკება ელექტროენერგიის ურთიერთგადაცვლაზე „შეთანხმებულ ფასად“. აგვისტოში ყირგიზეთი აწვდის ენერგიას ყაზახეთს, შემოდგომით კი — უკან იღებს. ამასთან ერთად, უჩკურგანის ჰესზე ხორციელდება წყლის ნაკადის მიწოდება 350 $მ^3$/წმ ყაზახეთის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის.

ანუ (იდეაში) აღდგენილია ბარტერული გაცვლის სისტემა: წყალი — ენერგიის სანაცვლოდ, ანუ ყაზახეთიდან ენერგიის დაბრუნება. ეს არა მარტო ინარჩუნებს ხელსაყრელ პირობებს ტოკტუგალის წყალსაცავისთვის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, არამედ მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს ენერგო-წყლის ბალანსის შენარჩუნებას.

როგორ, უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ანალოგიური მიდგომას დღემდე არ იყენებენ უზბეკეთი და მეზობელი ქვეყნები მოლაპარაკებაში. ტაშკენტი უპირატესობას ანიჭებს ურთიერთობების გარკვევას პროტესტებით ან ძალისმიერი მეთოდებით, როგორც ცოტა ხნის წინათ მოხდა ყირგიზეთში, ჯალალაბადის რაიონში — უნგარ-ტოოში, სადაც ორივე მხარემ გადასხა პოლიციის დესანტი. საზღვრის დაძაბულობას მეზობლებს შორის უზრუნველყოფდა მოუწესრიგებელი კამათი ორტო-ტოკოინის (ან კასანსაის, როგორც მას ეძახიან უზბეკები) წყალსაცავის მართვის უფლება, რომელიც წყლით უზრუნველყოფს ორივე რესპუბლიკას. საბჭოთა კავშირის დროს აშენებული წყალსაცავი გახდა კამათის მიზეზი ყირგიზეთსა და უზბეკეთს შორის იმ მომენტიდან რაც, ორივე ქვეყანამ მიიღო დამოუკიდებლობა.

არ არის გამორიცხული, რომ მსგავსი კონფლიქტი ელოდებოდეს ტაშკენტს და დუშანბეს — ტაჯიკეთში დღეს მიმდინარეობს როგუნის წყალსაცავის პროექტის აქტიური მშენებლობა. და ეს საერთოდ არ მოსწონს ტაშკენტს.

იდეაში, ეს შეტაკება არის ინდიკატორი, რომელიც მიანიშნებს, რომ, თუ სახელმწიფოები სასწრაფოდ არ დასხდებიან მოლაპარაკების მაგიდასთან, მაშინ უახლოეს მომავალში რეგიონს ემუქრება ომი რესურსებისთვის.

ქვეყნებმა როგორმე უნდა აღიარონ ურთიერთდამოკიდებულება და გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები არა მარტო საკუთარი კეთილდღეობისთვის, არამედ მეზობლებისთვისაც, რომ საერთო ჯამში უზრუნველყონ რეგიონის განვითარება.

ამის ნიშანია ცენტრალური აზიის ქვეყნების კავშირის შექმნის იდეა, რომლის განხილვაც მიმდინარეობს ბოლო წლების განმავლობაში. დღეს მხოლოდ მას შეუძლია იყოს პლატფორმა კონსესუსის მისაღწევად, რომელიც ხელს აძლევს ყველა ქვეყანას. ეს იდეა კი საუკუნის მეოთხედია რაც განიხილება, რომ პირველ რიგში საჭიროა ენერგო-წყლის სისტემის ბალანსის აღდგენა.

ზაზა მეზვრიშვილი

◎ 2017 – ოპტიმისტური წელიწადი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზი საქართველოსა და რეგიონის ეკონომიკის შესახებ

როგორც ვიუწყებოდით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსოფლიო ეკონომიკის ახალი ანგარიშის თანახმად, საქართველოს ეკონომიკა მიმდინარე წელს 3,4 %-ით, მომავალ წელს კი 5,2 %-ით გაიზრდება.

„ინფლაციის დონე საქართველოში წელს 2,6 % იქნება, 2017 წელს კი - 3,6%. 2016 წელს საქართველოში მშპ-ის 12,1 %-იანი დეფიციტი დაფიქსირდება, ხოლო მომავალ წელს ეს მაჩვენებელი 12,0 %-ს მიაღწევს“, – ნათქვამია ანგარიშში. ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უცვლელი დატოვა მსოფლიო ეკონომიკის ზრდის 3 %-იანი პროგნოზი 2016 წლისთვის, 2017 წელს კი, ანგარიშის თანახმად, მსოფლიოს ეკონომიკური ზრდა 3,4 % იქნება.

ფონდის განცხადებით, გლობალური ეკონომიკის შენელებული ზრდა, გადამწყვეტი პოლიტიკური ზომების მიუღებლობის ფონზე, მომავალშიც გაგრძელდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 1,8 %-დან 1,6 %-მდე შეამცირა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პროგნოზი (ივლისის თვის პროგნოზი), რაც წლის პირველ ნახევარში შემცირებული ბიზნესინვესტიციებით არის გამოწვეული.

ფონდმა ასევე 2,2 %-დან 1,6 %-მდე შეამცირა აშშ-ის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი. შენელებული ზრდა ექნება დიდი ბრიტანეთის ეკონომიკასაც, რომელიც მიმდინარე წელს 1,1 %, მომავალ წელს კი 2,2 % იქნება. რაც შეეხება რეგიონის ქვეყნებს, ანგარიშის თანახმად, რუსეთის ეკონომიკა წელს 0.8 %-ით, აზერბაიჯანის კი 2.4 %-ით შემცირდება, 3.2 %-ით გაიზრდება სომხეთის, 3,3 %-ით კი თურქეთის ეკონომიკა.

ფონდის პროგნოზით, მიმდინარე წელს ნავთობის საშუალო ფასი ბარელზე 42,96 დოლარი, 2017 წელს კი 50,64 დოლარი იქნება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, 2016 წლის აგვისტოში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპმა 2.9 % შეადგინა. ივლისში ზრდის ტემპი 2.1 % იყო.

„საქსტატის“ ინფორმაციით, 2016 წლის პირველ რვა თვეში ეკონომიკის საშუალო რეალურმა ზრდამ 2.7 % შეადგინა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ზრდა 2.8 % იყო. მთავრობა 2016 წელს 3 %-იან ეკონომიკურ ზრდას პროგნოზირებს. 2015 წელს საქართველოს ეკონომიკა 2.8 %-ით გაიზარდა, რაც 2009 წლის შემდეგ ყველაზე სუსტი ზრდა იყო. რაც შეეხება ინფლაციას, 2016 წლის სექტემბერში საქართველოში ინფლაციის დონემ, წინა თვესთან შედარებით, 0,3 პროცენტი, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაციის დონე), 0,1 პროცენტი შეადგინა. 2010 წლის საშუალოსთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსი 16,5 პროცენტით გაიზარდა.

ირინა გურიელი

◎ აგროდაზღვევა საქართველოში

რატომ არიდებენ თავს აგროდაზღვევას ფერმერები?

დღევანდელი მონაცემებით, საქართველოს 300 ათასი ფერმერიდან აგროდაზღვევით 16 ათასამდე ადამიანი სარგებლობს. მთლიანობაში, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამას ფერმერების მხოლოდ 5 % იყენებს. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ცნობით, 2014 წელს, 2016 წელთან შედარებით, აგროდაზღვევით 5 000 ბენეფიციარით მეტი სარგებლობდა, ბენეფიციარების შემცირება კი სახელმწიფო სუბსიდიის კლებამ გამოიწვია, თუმცა მიზეზებს შორის ექსპერტები აგროდაზღვევის შესახებ ფერმერების ინფორმირებულობის დაბალ დონესა და ზარალის შეფასების სისტემის გაუმართაობაზე საუბრობენ.

აგროდაზღვევის პროგრამა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას. პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ-სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, რომელიც, პროგრამის განხორციელების მიზნით, ხელშეკრულებებს აფორმებს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ შესაბამის სადაზღვევო კომპანიებთან და ამ ხელშეკრულებების საფუძველზე ახდენს სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას და მათ მონიტორინგს.

დაინტერესებულ ბენეფიციარებს სადაზღვევო პოლისის შეძენა შეუძლიათ საქართველოში მოქმედ 5 სადაზღვევო კომპანიაში: „ალდაგი“, „ჯი პი აი ჰოლდინგი“, „აი სი ჯგუფი“, „არდი ჯგუფი“, „უნისონი“.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სადაზღვევო პოლისი ფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის) – 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში.

2016 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ბენეფიციარს შეუძლია დაზღვიოს 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი (მარცვლეული კულტურის შემთხვევაში – 30 ჰა.) თითოეული დამზღვევი 70 %-იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე – 50 %-ს. მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემთხვევაში ან უკვე არსებული საკადასტრო კოდით დაზღვევისას თანადაფინანსება არსებულზე 10 %-ით მეტი იქნება.

ამოქმედდება მინიმალური და მაქსიმალური სადაზღვევო ტარიფები. ხელისუფლებაში ვარაუდობდნენ, რომ აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის ამაღლებას და მათი მხრიდან სადაზღვევო რისკების სწორად შეფასებას.

ირინა გურიელაშვილი

საქმე №233-2016

დადგენილება

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 5 ოქტომბერი 2016 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ახალი კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **მაკა გოგიშვილი, გიგა ლომაია, მაია კუმელაშვილი**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს მიერ 2016 წლის 9 სექტემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხის მაკა გოგიშვილის, გიგა ლომაიასა და მაია კუმელაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 4 აგვისტოს შპს „ახალი კრედიტი”-სგან მოპასუხე მაკა გოგიშვილმა ისესხა 1800 ლარის ოდენობით სესხი. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 3 ოქტომბერი. სესხი სარგებლიანია. სარგებლის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, რომლის ოდენობაც განისაზღვრება გაცემული თანხის 1%-ით.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა – ძირითადი თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე აღსრულებამდე.

2015 წლის 4 აგვისტოს დადებული №15145 სესხისა და თავდებობის ხელშეკრულების თანახმად, გიგა ლომაიამ და მაია კუმელაშვილმა აიღეს ვალდებულება მთლიანად იყვნენ პასუხისმგებელნი შპს „ახალი კრედიტი”-ს წინაშე მაკა გოგიშვილის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე მაკა გოგიშვილზე, გიგა ლომაიაზე და მაია კუმელაშვილზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე მაკა გოგიშვილს სამჯერ გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, ისე კურიერთან საუბრისას მის მიერ მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გიგა ლომაიას სამჯერ გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, ისე კურიერთან საუბრისას მის მიერ მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე მაკა გოგიშვილსა და გიგა ლომაიას მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე მაკა გოგიშვილი და გიგა ლომაია ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობენ, ხოლო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე მაკა გოგიშვილსა (პ/ნ №02001020778) და გიგა ლომაიას (პ/ნ №58001007320) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს წარმოებაშია შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. მაკა გოგიშვილსა და გიგა ლომაიას განემარტოთ, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხე მაკა გოგიშვილსა და გიგა ლომაიას, რომ მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე მაკა გოგიშვილსა და გიგა ლომაიას ეცნობოთ, რომ 2016 წლის 21 ნოემბერს 11:30 საათზე მუდმივმოქმედი არბიტრაჟ შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელზე სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით მაკა გოგიშვილის, გიგა ლომაიასა და მაია კუმელაშვილის მიმართ.

5. მაკა გოგიშვილსა და გიგა ლომაიას ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მათზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ ფეხბურთი

ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!..

ჩასაფრებულებსა და ბოღმებს რა გამოლევს. ჰოდა, ადგნენ ეს „გულშემატკივრები“ და „ევრო – 20116“-ის ნახევარფინალისტ უელსთან გასვლითი შესარჩევი მატჩის წინ დირექტივა გასცეს – ფსონი თანამემამულეთა წაგებაზე დადეთო. ხომ წარმოგიდგენიათ, მიშისტებისა არ იყოს, როგორი ფსიქოლოგიური დარტყმა მიიღეს საფინალო სასტვენის შემდეგ ამ ურწმუნო თომებმა.

უელსი – საქართველო 1:1
(პირველი ტაიმი 1:0)

გოლები: ბეილი (მე-10 წთ); ოქრიაშვილი (56-ე წთ.).

ირლანდიასთან ამასწინანდელი შეხვედრის მიმოხილვისას გულისტკივილი გაგიზიარეთ, ბიჭები სათანადო ფუნქციონალური მომზადების დეფიციტის გამო. მეტოქეს მხოლოდ ერთი ტაიმის განმავლობაში უმკლავდებიან ღირსეულადო. თურმე, არც მთლად მასე ყოფილა საქმე – ამჯერად ლიმიტი ტაიმნახევრამდე გაიზარდა და წლევანდელ საკვალიფიკაციო რაუნდში პირველი ქულაც დამსახურებულად მოვიპოვეთ.

სხვათა შორის, ისიც აღსანიშნავია, რომ კელტების ოქროს თაობასთან ძველი ტრადიცია შევინარჩუნეთ და კვლავ დაუმარცხებლებმა დავტოვეთ სარბიელი. ის კი არა, რომ გაგვმართლებოდა, ბრიტანელებს ზედიზედ მეოთხე ბრძოლას მოვუგებდით, მაგრამ ანანიძემ და ყაზაიშვილმა ძელს მოახვედრეს ბურთი, ხოლო მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მჭედლიძემ არაზუსტად დაურტყა ჰენესის.

დაბოლოს: იმავე საღამოს აზერბაიჯანულ არხზე ისლანდია – თურქეთის მატჩის შესვენებისას ერთ-ერთი ჩანახატი ვიტალი დარასელიას ეძღვნებოდა – დღეს გამოჩენილი ქართველი ნახევარმცველის დაბადების დღეაო. სამწუხაროდ, ეს თარიღი ჩვენში არავის გახსენებია.

დანარჩენი შედეგები: სერბეთი – ავსტრია 3:2, მოლდოვა – ირლანდია 1:3.

სერბეთი, ირლანდია – 7-7, უელსი – 5, ავსტრია – 4, საქართველო – 1, მოლდოვა – 0 ქულა.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი



ტრადიციისამებრ, ახალი საკალათბურთო სეზონი საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტნის, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ დუდუ დადიანის მემორიალით გაიხსნა, რომელშიც სუპერლიგის 6 გუნდი მონაწილეობდა.

მემორიალიც, ოპერაციაც

შესანიშნავად ითამაშა ხსოვნის ტურნირის პირველმა გამარჯვებულმა თბილისის „დინამომ“, რომელმაც ფინალში ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ „ქუთაისს“ 75:63 სძლია და მეორედ მოიპოვა პრესტიჟული ჯილდო.

* * *

როგორც მოგეხსენებათ, ათენის აეკის ქართველმა ლეგიონერმა ვიქტორ სანიკიძემ „ტრიკალასთან“ ამასწინანდელ შეხვედრაში მძიმე ტრავმა მიიღო და ხანგრძლივი „იძულებითი შვებულება“ გამოუწერეს.

ამ დღეებში „ჯვაროსანთა“ ერთ-ერთ ლიდერს წარმატებით ჩაუტარეს ფეხის ოპერაცია და გაირკვა, რომ სარეაბილიტაციოდ, სავარაუდოდ, 6-10 თვე დასჭირდება. ასე რომ, ვიმედოვნებთ, იგი ჩვეული შემართებით იასპარეზებს ევრობასკეტ 2017-ზე.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ლეგიონერი

ენდნენ და... დაამინა

საქართველოს ნაკრების კვაჭმა ჯაბა ბრეგვაძემ ინგლისის პრემიერშიპის მიმდინარე სეზონის პირველ 5 ტურში შეცვლაზე ითამაშა, გასულ შაბათს კი „ვუსტერის“ ხელმძღვანელობამ მას სასტარტო შემადგენლობაში ანდო ადგილი და 29 წლის მორაგბემ ამ ჩემპიონატში პირველი ქართული ლელო გაიტანა.

მისი „ვუსტერი“ სტუმრად „ლესტერს“ ეთამაშებოდა და 21-ათასამდე მაყურებელმა მასპინძელთა 4 ლელო იხილა. განსაკუთრებით ლამაზი „ვეფხვების“ მეორე ლელო იყო, როდესაც ტონგელმა ფულბეკმა ტელუსა ვეაინუმ ფაქტობრივად მთელი გუნდი მოატყუა, დაახლოებით 50 მეტრი ირბინა და ბურთი ძელებსუკან დაამიწა – 20:0. მეორე ტაიმის საწყის 10 წუთში სტუმრებმა ორი ჯარიმა გაიტანეს. 64-ე წუთზე სამოელი მულიპოლას ლელოს 4 წუთში ჯაბამ უპასუხა – ის მოლის კუდში აკონტროლებდა ბურთს და მას დროულად მოწყდა. ზუსტი გარდასახვის შემდეგ სხვაობა 14 ქულამდე დავიდა და ორივე გუნდი პრემიისთვის აგრძელებდა თამაშს. ის „ლესტერს“ ერგო, რადგან 76-ე წუთზე მეოთხე ლელო გაიტანა და 34:13 იმარჯვა.

სხვა წამყვან ჩემპიონატებში მოთამაშე გუნდების დარად, ინგლისურ გუნდებს ახლა ორი კვირით ევროთასები ელის და შიდა პირველობას 28 ოქტომბრიდან დაუბრუნდებიან.

ბადრი იაშვილი

◎ წინ, საქართველო!

18 მედალი მსოფლიოს ხალიჩიდან

საქართველოს ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა ნაკრებებმა 2016 წლის სეზონის უმთავრეს შეჯიბრებაზე – მსოფლიოს ჩემპიონატზე 18 მედალი მოიპოვეს. რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტის ხალიჩაზე 30 ქვეყნის ნაკრების 374 სამბისტი გავიდა და საპრიზო სამეულები ორივე ასაკობრივ ჯგუფში როგორც ვაჟთა, ისე

გოგონათა შორის შეივსო, ქართველების საბოლოო მონაგარი კი ასეთია: 7 ოქრო, 6 ვერცხლი და 5 ბრინჯაო.

ჭაბუკებს შორის საქართველოს ნაკრები საუკეთესო იყო – 10 წონითი კატეგორიიდან 9-ში მედალს დაეუფლა და საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა. 7 წონაში ფინალში სწორედ ქართველები გავიდნენ. ჯაბა პაპინაშვილმა (52 კგ), ლუკა მაისურაძემ (81 კგ), ნიკა სიდამონიძემ (87 კგ) და გელა ზაალიშვილმა (+87) გადამწყვეტი შეხვედრებიც მოიგეს და უმაღლეს ტიტულს დაეუფლნენ, საბა გრიგალაშვილს (56 კგ), გიგა ლიჩელსა (70 კგ) და ლაშა მატიაშვილს (75 კგ) პოდიუმის უმაღლეს საფეხურამდე თითო მოგება დააკლდათ, თორნიკე მარგველაშვილმა (48 კგ) და ირაკლი ხერგიანმა (60 კგ) კი მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ამავე ასაკობრივ ჯგუფში ქართველმა გოგონებმაც საკმაოდ შედეგიანად იჭიდავეს. ნატალია ყიფშიძე (48 კგ) და მარიამ ცერცვაძე (+75 კგ) მხოლოდ ფინალში დამარცხდნენ და ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ხოლო თინათინ რევაზიშვილი (56 კგ) ბრინჯაოს დასჯერდა.

ახალგაზრდებში მსოფლიოსთან კონკურენციაში საქართველოდან მხოლოდ ვაჟთა გუნდი ჩაერთო. ირაკლი კუპატაძემ (57 კგ), ზვიად თევდორაშვილმა (74 კგ) და დავით ოზბეთელაშვილმა (100 კგ) შეჯიბრება წაუგებლად ჩაამთავრეს და ოქროს მედლებს დაეუფლნენ, გიორგი მარუაშვილმა (52 კგ) ვერცხლი ირგუნა, ხოლო აკაკი გიგატაძემ (48 კგ) და დავით რაზმაძემ (+87 კგ) – ბრინჯაოები. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები საერთო გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ რუსეთს ჩამორჩა.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

ლუსიანა გულის სწორს ელის

არგენტინელი მოდელი ლუსიანა სალასარი ის ქალი არაა, წარსულზე თვალების ფახულით რომ ისაუბროს, რადგან მას ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში მარტო იმდენი ფეხბურთელი სატრფო ჰყავდა, რომ მათი ჩამოთვლა გაგვიყვანდა მდინარე ჩაილურის გაღმა მხარეს.

ლუსიანას გული ამჯერად თავისუფალია და თვალებს ისე აცეცებს, როგორც მისი კატეგორიის ასულებს შეეფერებათ. არგენტინაში ამბობენ, ლუსიანას უკვე ჰყავს მომავალი გულის სწორი შეგულებული და სულ მალე მისი საძინებლის საწოლზე დიდი ჭრაჭუნისა და ოხვრის ხმა გაისმებაო.

ერთი პრობლემა ისაა, რომ ლუსიანა სალასარის ქარაშოტივით ხასიათი უკვე ბევრმა გაიგო და შეისწავლა და ამ ქალთან თანამყოფელმა მამაკაცებმა უკვე თავიდანვე იციან, რომ ადრე თუ გვიან ლუსიანას უნდა გაშორდნენ, ასეთი წინასწარგანწყობა კი ნამდვილად არაა სასურველი.

რუსტომ რაჭველიშვილი

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის განცხადება

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროექტის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ახორციელებს თბილისი - წითელი ხიდის საავტომობილო გზის (თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტს, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით დაგეგმილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროექტს.

თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთზე (კმ. 4+000 - კმ 10+800) პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა. მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმით(LARP) განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეები ინფორმირებულ იქნენ, რომ მათი უარის შემთხვევაში, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და პროექტის ფარგლებში მოქცეულ მათ საკუთრებაზე/საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

თბილისი - წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთის (კმ. 4+000 - კმ 10+800) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტით განსაზღვრული სამუშაოებისათვის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს ესაჭიროება მოქალაქე შოთა კეზერაშვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება 200კვ.მ (ს/კ 81.03.12.165). მის: ქ. თბილისი, გზატკეცილი რუსთავი, მარჯვენა მხარეს.

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან პროექტის განმახორციელებელი, მოგმართავთ თხოვნით, განცხადების გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში მობრძანდეთ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფინდში *(მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამ. №150, მე-3 სართული),* **თქვენს საკუთრებაში არსებული ქონების გამოსყიდვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების მიზნით.**

სანთელი

ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე, ელენე მანჯგალაძე, მარინე და მაია კვეზერელი-კოპაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა განათლების დარგის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, უანგარო დახმარების უბადლო ოსტატი, ფორაქიშვილების დიდი გვარის ღირსეული წარმომადგენელი, პროფესორი

ზურაბ ფორაქიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ამოღებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკი

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1969 წელს დაბადებული ა.მ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

შსს–ს ცნობით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას ბუპრენორფინის შემცველი 31 აბი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით).

გამოსათხოვარი

სიმონ ზაზაძე

ამ ცნობამ ელვის სისწრაფით შემოიარა საერთაშორისო ასპარეზი, მრავალი ქვეყანა, მთელი კონტინენტი.

ამ ცნობამ დაამწუხრა და ჩააფიქრა მრავალი ადამიანი, მრავალი საქართველოში მცხოვრები და თურქეთელი ქართველიც.

ამ ამბავს ახლა შენც კითხულობ, მკითხველო, თუმცა, ალბათ, უკვე ყური მოკარი, გაიგონე და მეტის გაგება მოიწადინე.

საუკეთესო ევროპელ ექიმთა მცდელობანი ამაო აღმოჩნდა. 2016 წლის 5 ოქტომბერს ჟენევის ერთ-ერთ კლინიკაში შეწყდა თურქეთში მცხოვრები ცნობილი ქართველი მეცენატის, საზოგადო მოღვაწის, ბიზნესმენის, საქართველოს საპატიო მოქალაქის, ZAZA-HOLDING–ის მფლობელის, 1962-1982 წლებში ჟურნალ „ბედი ქართლისას“ დამფინანსებლის, სტამბოლის ქართველთა საკანის კომანდატორის, საქართველოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორისა და ამავე უნივერსიტეტის მეგობართა და მხარდამჭერთა საზოგადოების პალატის ოქროს წევრის, დიდი ოჯახის მამის, პაპისა და არაჩვეულებრივად კეთილი ადამიანის – სიმონ პავლეს ძე ზაზაძის სიცოცხლე.

იგი 1933 წელს დაიბადა თურქეთში, პავლე ზაზაძისა და მარიამ ჩილინგარიშვილის ოჯახში. სამი წლის ასაკში ქართულ, ფრანგულ და თურქულ ენებზე მშვენივრად საუბრობდა. მალე პატარა სიმონი სტამბოლის დედათა მონასტრის მიერ გახსნილ ბავშვთა ბაღში მიაბარეს. სწავლა კი გერმანულ დაწყებით სკოლაში დაიწყო, რომელიც ჯერ ინგლისურმა „რობერტ კოლეჯმა“, ხოლო შემდეგ თურქულმა თაქსიმის ლიცეუმმა შეცვალა.

არქიმანდრიტი ადამი, სიმონ ზაზაძე

უმაღლესი განათლების მისაღებად სტამბოლის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი შეარჩია, მაგრამ რადგანაც ძალიან უნდოდა ექიმობა, ერთდროულად იმავე უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის საღამოს განყოფილებაზე შევიდა. თუმცა მალე მამის თხოვნით აქ სწავლას თავი დაანება. დოქტორის წოდება კი ორჯერ – ეკონომიკაში „London School“-ში, ხოლო სამხედრო საქმეში - აშშ-ში მიიღო.

მომავალი მეუღლე, წარმოშობით ფინიკიელი ქლაუდე ინჯეა ბეირუთის ინდურ უნივერსიტეტში გაიცნო, სადაც საღექციო კურსს კითხულობდა. მათ სამი შვილი შეეძინათ – ნათალი, პაულა და პავლე.

ზაზაძეების ოჯახი ფლობდა ტექსტილისა და კოსმეტიკის წარმოებას. ამ ბაზაზე შეიქმნა „ZAZA-HOLDING“, რომელსაც ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 326-ზე მეტი საწარმო ეკუთვნის. 1962-1982 წლებში პავლე და სიმონ ზაზაძეები აფინანსებდნენ ჟურნალ „ბედი ქართლისას“. ასევე ეხმარებოდნენ საზღვარგარეთ გამომავალ სხვა გამოცემებსაც.

სიმონ ზაზაძე გახლდათ საქმიან ადამიანთა და საზოგადო მოღვაწეთა იმ პლეადის წარმომადგენელი, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ზნეობის მაღალ ნორმებსა და ჰუმანიზმს ამკვიდრებდნენ. მისი ფიქრი მუდამ დატრიალებდა ადამიანებს და არასოდეს განშორებია ქართლის ბედზე ჭმუნვასა და ზრუნვას. სამწუხაროდ, მას ძალიან ბევრი საქმე დარჩა დასამთავრებელი, ბევრი ფიქრი და ოცნება – განუხორციელებელი. მან თან გაიყოლა ბევრი ტკივილი, მონატრება, დარდი... მათი დიდი ნაწილი საქართველოს მომავალს უკავშირდებოდა.

სიმონ ზაზაძის ცხოვრება გადაშლილი წიგნია. მას ჯერ ყურადღებით წაკითხვა სჭირდება და მერე იქიდან ბევრი რამის სწავლაა აუცილებელი, თუ გინდა იმ სიმაღლეებსა და მასშტაბებზე წარმოდგენა შეგექმნას, რომლებსაც მან მიაღწია.

ერთი რამ მინდა მივუსადაგო ჩემს დღევანდელ სათქმელს, ის, რაც სამი-ოთხი ათეული წლის წინათ ახმედ მელაშვილის გარდაცვალების გამო განაცხადა ერთმა აფხაზმა მწერალმა: *„არ იტიროთ, რადგან ასეთი ადამიანის წასვლის შემდეგ კი არ გლოვობენ, არამედ ცდილობენ, მასავით იცხოვრონო!“*

ღმერთმა შეგვაძლებინოს!

არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე)
საქართველოს საპატრიარქოს თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი

ჩუღურეთის რაიონს ახალი სკვერი შეემატება

ვეშაპურის ქუჩაზე ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დაფინანსებით სკვერის მშენებლობა მიმდინარეობს. რაიონის გამგებელმა ზურაბ ჩიკვილაძემ მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა და იქ მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა.

მერიის ცნობით, პროექტის ფარგლებში, სკვერის ტერიტორიაზე მოეწყობა ბორდიურები და დეკორატიული ფილები, დაიდგმება სკამები და ურნები, ხოლო პატარებისთვის მოეწყობა გასართობი და სავარჯიშო ზონები.

„სკვერის დაპროექტებისას მოქალაქეების ყველა მოთხოვნა გავითვალისწინეთ, მათ ამ მყუდრო და კეთილმოწყობილ სკვერში სრულფასოვანი დასვენება შეეძლებათ. ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული მათგანის ჩართულობა ქალაქის გალამაზებაში. ამ ქუჩაზე სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებიც განვახორციელეთ, კერძოდ, ქუჩაზე მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა და დავაგეთ ბაზალტის ქვაფენილი,“ – განაცხადა ჩუღურეთის რაიონის გამგებელმა ზურაბ ჩიკვილაძემ.

ჩუღურეთის რაიონს, მიმდინარე წელს, 4 ახალი სკვერი შემატა არსებულ 30 სკვერს კი აღდგენა-რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით.

ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

როგორი ამინდი იქნება დღეს?

დასავლეთ საქართველოში დღეისთვის სინოპტიკოსები უმეტესად უნალექო ამინდს ელიან, აღმოსავლეთში კი, მცირე წვიმას.

როგორც გარემოს ეროვნულ სააგენტოში განაცხადეს, დასავლეთ საქართველოში დროგამოშვებით ღრუბლიანობა მოიმატებს, თუმცა დღე უმეტესად უნალექოდ ჩაივლის. იქროლებს აღმოსავლეთის ქარი 10-15 მეტრი/წამში. ჰაერის მოსალოდნელი ტემპერატურაა: დაბლობში +23, +28; მთაში +21, +26; მაღალ მთაში +18, +23 გრადუსი.

დროგამოშვებით ღრუბლიანობა მოიმატებს აღმოსავლეთ საქართველოშიც. დღის მეორე ნახევრიდან ზოგიერთ რაიონში ნავარაუდევია მცირე წვიმა. იქროლებს აღმოსავლეთის ქარი 8-13 მეტრი/წამში. ჰაერის ტემპერატურა იქნება: +20, +25; მთაში +9, +24; მაღალ მთაში +17, +22 გრადუსი.

◎ დედაქალაქი

თბილისური ახალი „ლურჯა“ ავტობუსები

როგორც იქნა, თბილისში ასე მოყირჭებული ყვითელი სამგზავრო ავტობუსების (მხედველობაში, ცხადია, პირველ რიგში უაღრესად მოუხერხებელი „ბოგდანები“ გვყავს), ახალი, კომფორტული, ცნობილი გერმანული ფირმის „MAN“-ის მანქანებით ჩანაცვლების პროცესი დაიწყო.

აგერ რამდენიმე დღეა თბილისში მგზავრები ბაგებიდან ბარათაშვილის ქუჩამდე №61 სვლაგეზის ათი კომფორტული ავტობუსით გადაადგილდებიან, რომლებიც 34 დასაჯდომი ადგილით, თან უნარშეზღუდულ პირთათვის, ასევე ჩვილ ბავშვებთან ერთად მგზავრთათვის საგანგებო ასასვლელებითაა აღჭურვილი.

მგზავრებისთვისაც და მძღოლთათვისაც ერთგვარ უხერხულობას უკანა კარის გაღება-დახურვა ქმნის, თუმცა ამ უმნიშვნელო ხარვეზის გვერდის ავლას ცოტაოდენი დაკვირვება სჭირდება, რაც, ღვთის მადლით, არც თბილისელებს, არც დედაქალაქის სტუმრებს არ აკლიათ.

დალი ხუნდაძე,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

შეღავათიანი ტარიფი ყაზახურ ტვირთზე

ყაზახეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ ტრანსკასპიურ დერეფანში ყაზახური ტვირთების გადაზიდვაზე შეღავათიანი ტარიფი შეათანხმეს.

შეთანხმება ასტანაში ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის საკოორდინაციო კომიტეტის მორიგ შეხვედრაზე შედგა.

დერეფნის მონაწილე ქვეყნების ტერიტორიებზე შეღავათიანი ტარიფით ისარგებლებს ყაზახეთიდან საექსპორტო ტვირთის ნაწილი, მათ შორის მარცვლეული, ნავთობპროდუქტები და ფერადი ლითონები.

ყაზახური მედიის ცნობით, ამავე შეხვედრაზე დაფუძნდა ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის ასოციაცია.

ასოციაცია კონცენტრირებული იქნება ტრანზიტული და საგარეო სავაჭრო ტვირთების მოზიდვაზე და ამ დერეფანში ინტეგრირებული ლოგისტიკური პროდუქტების განვითარებაზე, ასევე ეფექტიანი სატარიფო პოლიტიკის შემუშავებაზე.

ასოციაციის ფარგლებში იმუშავებენ ინტეგრირებული მომსახურების ღირებულების განსაზღვრაზე, ასევე გადაზიდვების პროცესის ერთიანი ტექნოლოგიის შემუშავებაზე, ადმინისტრაციული ბარიერების შემცირებაზე, რაც დაკავშირებულია სასაზღვრო და საბაჟო პროცედურებისა და ტვირთების გადამუშავებასთან.

ყველა ეს ღონისძიება მიმართული იქნება ალტერნატიულ მარშრუტებთან შედარებით ამ დერეფნის კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის.

◎ ანეკდოტები

— რამდენი გაქვს, ძმაო, ხელფასი და მოგწონს თუ არა შენი სამსახური? — ეკითხება დიდი ხნის უნახავ თანაკურსელს მიხო.

— მე, ჩემო კარგო, იმდენს მიხდიან, რომ ჩემი სამსახური, დიახაც, ძალიანაც მომწონს!

* * *

— დედიკო, დედიკო, მამიკო სანადიროდ რომ დადის, ჩიტებს რატომ კლავს?

— რომ არ იავადმყოფონ, შვილო!..

* * *

კაცმა საკუთარ თავს რეალური მიზნები უნდა დაუსახოს. არარეალური მიზნების განსახორციელებლად კი ქვეშევრდომები უნდა ჰყავდეს.

* * *

საოცარი ფაქტების სამყაროში: **რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, თავი მრგვალია, ბალიში კი, რატომღაც — ოთხკუთხა.**

* * *

— ჩემო კარგო, ჩემო ტკბილო, ჩემო გულკეთილო!.. **სრულიად ჰიპოთეტური კითხვაა, მაგრამ, მაინც მაინტერესებს, რა მოხდება, ერთხელ შემთხვევით რომ გიღალატო? ვიმეორებ: „შემთხვევით“!** — შეპარვით ეკითხება ცოლს მივლინებაში მიმავალი ქმარი.

— **რა მოხდება, ძვირფასო და შენი საფლავის ქვაზე ასეთი წარწერა იქნება: „მე ნათელი მომავალი მქონდა, მაგრამ, ბრიყვულად, ნათელი ხსოვნა ვამჯობინე“!**

დოპინგური საფრთხე

რიო დე-ჟანეიროში ოლიმპიადამდე დოპინგთან დაკავშირებით **ისეთი სკანდალები აგორდა, რომ ამ თემამ თამაშებზე მიღწეული მაღალი შედეგიც კი ლამის დაჩრდილა.**

ახლა ბევრს აინტერესებს — რიოში რომელი გამარჯვება იყო „სუფთა“ და რომელი —„დოპინგიანი“?

დოპინგ-ტესტებს სპორტსმენები თამაშების დროს აბარებენ და დადებითი პასუხების შემთხვევაში მათ შესახებ ოლიმპიადის მსვლელობის დროსვე ხდება ცნობილი. იმ სინჯებს კი, რომლებშიც არაფერია ნაპოვნი, „უჯრაში“ ინახავენ. ვადა-ს (ანტიდოპინგური სამსახურის) წესებით, ამ სინჯების გადამოწმება აღებიდან 10 წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეიძლება. ამის მიზანი ისაა, რომ თანამედროვე მეთოდების გამოყენებით და მოწინავე ტექნოლოგიების მეშვეობით დოპინგის გამოვლენა უფრო მეტადაა შესაძლებელი.

მსახური კაპუცინები

ცოტა ხნის წინათ, კენიაში ელექტროსადგურში შეღწეულმა მაიმუნმა მთელი ქვეყანა უდენოდ დატოვა. მეორე მაიმუნს კი სამი საათის განმავლობაში ვოლიერში ჩავარდნილი სამი წლის ბავშვი ატატებული მანამდე დაჰყავდა, ვიდრე, პატარის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მას... ტყვია არ დაახალეს.

არადა, მაიმუნები, განსაკუთრებით კი მაკაკა კაპუცინები, უაღრესად საზრიანები არიან, თანაც სწავლებას ადვილად ექვემდებარებიან. ეს გარემოება კარგად გამოიყენეს ამერიკის კონექტიკუტის შტატის სოციალური მეურვეობის უწყების თანამშრომლებმა, რომლებიც მათ დამხმარეებად იყენებენ... ინვალიდთა მომსახურებაში — ეს გარემოება ადგილობრივ კანონმდებლობაშია დაფიქსირებული.

პატარა კაპუცინები ისე ოსტატურად გაწვრთნეს, რომ მოხუცთა თავშესაფრებში ისინი ბოთლებში წყალს ასხამენ, მაგიდებზე თეფშებს აწყობენ და გაზეთები მიაქვთ.

ბავშვების კეთების დრო

შობადობის დონე სეზონურ **„მიმოქცევებს“ რომ ემორჩილება, ამის შესახებ მეცნიერებმა დიდი ხანია, იცოდნენ. სკანდინავიელ მეცნიერთა გამოკვლევის შედეგად კი გაირკვა, რომ ყველაზე მეტი ბავშვი აპრილ-მაისში იბადება (რომლებიც, შესაბამისად, ივლის-აგვისტოში არიან ჩასახელები).**

ქალთა ჩასახვის უნარი (ანუ ფერტილობა), უამრავი ჩატარებული კვლევის მიუხედავად, მედიკოსებისთვის დღესდღეობითაც იდუმალი მოვლენაა. დანამდვილებითაა ცნობილი, **რომ ქალი ჩასახვისთვის მზად მხოლოდ წელიწადში სამ თვეს არის.** კონკრეტულად რომელი თვე იქნება „მოსავლიანი“, ამის რეალურად წინასწარმეტყველება შეუძლებელია.

მამაკაცთა რეპროდუქციული შესაძლებლობები კი საკმაოდ კარგადაა შესწავლილი — **ისინი ზაფხულობით იზრდება და მათი პიკი ივლის-აგვისტოზე მოდის.**

როგორც აღვნიშნეთ, კემბრიჯის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, **რომ ყველაზე ჯანმრთელი ბავშვები აპრილ-მაისში იბადებიან** — ისინი თანატოლებზე მაღლები და მძიმეები არიან. თანაც ამ „მზის“ ადამიანებს მთელი ცხოვრების მანძილზე კარგი ჯანმრთელობა აქვთ.

ქვემოთ გთავაზობთ მედიკოსთა შედგენილ ერთგვარ **„ჯანმრთელობის კალენდარს“,** რომლითაც ბავშვის დაბადების თვის მიხედვით შეგიძლიათ იმის დადგენა, თუ პოტენციურად რომელი დაავადების მიმართ იქნება იგი მიდრეკილი.

იანვარი: დიდია მაღალი წნევის განვითარების რისკი; **თებერვალი:** მიდრეკილია სასუნთქი გზების დაავადებებისადმი; **მარტი:** მომატებულია არითმიის, გულის უკმარისობის რისკი; **აპრილი:** მიდრეკილია გულის სისხლძარღვთა დაავადებებისადმი; **მაისი:** ამ თვეში იბადებიან ყველაზე ჯანმრთელი ადამიანები; **ივნისი:** დიდია ასთმის განვითარების ალბათობა; **ივლისი:** ავადმყოფობათა ალბათობა დაბალია; **აგვისტო:** მოსალოდნელია პრობლემები მხედველობასთან; **სექტემბერი:** მაღალია ასთმის, რეპროდუქციულ სფეროსთან დაკავშირებული რისკები; **ოქტომბერი:** დიდია რესპირატორულ დაავადებათა და მხედველობის დაქვეითების რისკები; **ნოემბერი:** სავარაუდოა პრობლემები რეპროდუქციულ სფეროში; **დეკემბერი:** პრობლემები შეიძლება წარმოიშვას სისხლძარღვებთან დაკავშირებით.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3337; ევრო - 2.5986;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.8852;
100 რუბლი - 3.7382; თურქული ლირა - 0.7630;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4560;
1000 სომხური დრამი - 4.9182.

ამინდი 11 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +11,	დღე +25
მთიანი რაიონები -	ღამე +3,	დღე +24
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +12,	დღე +28
მთიანი რაიონები -	ღამე +9,	დღე +26
თბილისი:	ღამე +13,	დღე +23

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE